პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 9 თებერვალი № 33 (16770) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვებერვალიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ციური ძმები გაფრენის წინ

გაიმზადეს. „სოიუზ-24“-ის კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი. ხომალდის მეთაური ვ. ვ. გორბატკო (მარცხნივ) და ბორტ-ინჟინერი ი. ნ. გლაზკოვი გაფრენის წინ ემზადებიან გამცილებლებს.

საკავშირო-საინფორმაციო ტელეფოტო.

ადამიანის მომსახურება — უპირველესი საზრუნავი!

ემოქმედებითად, დაჟკვრელურად, შეათე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისადმი ენერგიული მისწრაფებით, საერთო საქმის ბედისათვის დიდი დაინტერესებით, კეთილი გრძნობებითა და ფიქრებით შრომობენ დიდი ოქტომბრის ამ საიუბილეო წელს ჩვენი რესპუბლიკის ნაშრომელები — მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია.

პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმის, ხალხის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, კულტურული დონის შემდგომი ამაღლების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს მომსახურების სფეროს და კერძოდ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგების გამართული მუშაობა. და ეს ეშუმარიტება თვალნათლივ ეგრძნობოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მუშაობაზე, რომელმაც ერთერთ პირველ საკითხად განიხილა რესპუბლიკის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებები იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ XXII ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის დადგენილებიდან.

ეს პლენუმი თავისი მნიშვნელობით, მისი წარმატებული მუშაობისათვის სამზადისით, საკითხთა გარშემო მსჯელობის სიღრმით, აქტუალობით, ამოცანათა კომპლექსურობით უთუოდ ისტორიულია ჩვენი რესპუბლიკის მომსახურების ამ დარგების კოლექტივების, კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა შრომელის ცხოვრებაში. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებისადმი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ასეთი დიდი ყურადღება, მზრუნველობა, დასახული ამოცანების, პრობლემების გადაწყვეტისა და მოგვარებისადმი ასეთი მიზანსწრაფვა, პარტიული მდგომა მართლაც რომ უჩვეულოა.

უნდა ითქვას, რომ ეს პლენუმი ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის იმ დიდი პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის ნამდვილი შედეგია, რომელსაც უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჩვენი რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაცია ასეთი პრინციპულობით, გულმოდგინებით, დაჟკვრით, განსახილველი პრობლემების შესწავლისადმი მეცნიერული მიდგომით ეწეოდნენ.

ჩვენს ხალხს, საქართველოს მშრომელებს ახლოს ის დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხამონისტრატორების, ცეკავშირის სისტემებში არსებული დარღვევების, საბჭოთა კანონების დამახინჯებების, მექრთამეობის, გამომძალველობის, პროტექციონიზმის და სხვა უკუღმართობათა აღმოფხვრისა და დაძლევისათვის განხორციელდა. ოღონ როდი იყო ნეგატიური მოვლენათა მთელი ჯაჭვის გარღვევა და შემდეგ აქედან გამომდინარე წინაადმდეგობათა დაძლევა.

პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ცალკეული კომუნისტების, კომკავშრომელების, მშრომელთა ფართო მასების წინადადებების, სურვილების, აზრების, ფიქრების მეცნიერული შესწავლისა და დამუშავების შედეგად მიღებული მრავალფეროვანი მასალა საფუძვლად დაედო იმ ღონისძიებებს, რომლებიც პლენუმმა ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და განსახორციელებლად შეიმუშავა.

ამიტომ ამოცანა ის არის, რომ ყველა კომუნისტმა, კომკავშრომელმა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რიგითმა მუშაკებმა, დახლისა და სახელოსნოს მშრომელებმა ღრმად შეისწავლონ ეს დოკუმენტები და ცხოვრების, შრომის მეგზურად, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სახელმძღვანელოდ გაიხადონ.

პლენუმის დოკუმენტებში თვალნათლივ აისახა ის მიღწევები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გულმოდგინე მოღვაწეობის შედეგად მოპოვებული წარმატებები, რომლებსაც თვითეული ჩვენგანი ხედავს და რომელთა დაუნახავობა, სერიოზული ძვრებისა და ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნასათვის გაწეული მუშაობის უგულებელყოფა მართლაც რომ უმადურობა და უსამართლობა იქნებოდა. უთუოდ ბევრი რამ შეიცვალა და გაკეთდა — უფრო სრულყოფილი გახდა დაკეგმვა, გაფართოვდა კადრები, ამაღლდა მომსახურების კულტურა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება, თვისებრივი ცვლილებები მოხდა შრომითი კოლექტივების შემადგენლობაში, მეტი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის და უწინარეს ყოველისა ქალების დაწინაურებას და საერთო სახალხო საქმეში მათს ჩაბმას. მაგრამ ის, რაც გაკეთდა, რასაც მივაღწიეთ, გულარხეინობისა და მზრუნველობაზე წამოწოლის უფლებას არ გვაძლევს. წარსულის ნეგატიური მოვლენების გავლენამ ეს დარგები სხვებზე უფრო მეტად დააზარალა და ამიტომ ადვილად იგრძნობა ნაკლოვანებები, ხარვეზები, დანაშაულობები, ჩვენი ადამიანების მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების საქმეში არსებული შეუსაბამობანი. როგორც პლენუმზე ითქვა, ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, ცეკავშირის ორგანიზაციებს. ამასთან ისიც აღინიშნა, რომ უსარისხო პროდუქციის გამოშვებით განსაკუთრებით სცოდავენ ადგილობრივი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების, უსინათლოთა საზოგადოების საწარმოები და სხვ.

ყოველი ეეშმარიტი პატრიოტისათვის უთუოდ მძიმეა იმ აზრის გაფიქრებაც კი, რომ მთელს ქვეყანაში ჩვენი რესპუბლიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის მხრივ უკანასკნელ ადგილებზეა.

დიახაც რომ, ასეთი მდგომარეობა უხერხული და ჩვენი საერთო მოღვაწეობის, ახალი მძლავრი მაცოცხლებელი მდინარების, სიჯანსაღისა და ხალკეთის დამკვიდრებისათვის ასეთი შემართებული მუშაობის დროს ნამდვილად მოუთმენელია.

ამიტომ კალინინის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისა და ეროვნული პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, სწორი სამეურნეო, საკადრო პოლიტიკის განხორციელება, ბეგმეგისა და სოციალისტური ვალდებულებათა შესრულება მთავარი და გადამწყვეტია იმისათვის, რომ უკუვაგდოთ ყოველივე ის, რაც ხელს გვიშლის ფინესლაში.

ამოცანები, რომლებიც პლენუმმა დასახა, მკაფიო, ნათელი და უაღრესად ოპტიმისტური. ეს ამოცანები და გადასაწყვეტი პრობლემები კონკრეტულად, ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციის კოლექტივის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების თვითეული მუშაკის შრომისა და ცხოვრების სახელმძღვანელოა.

პლენუმმა გაბედულად წამოაყენა ის რადიკალურ პრობლემათა და ამოცანათა მთავარი მიმართულებანი, რომელთა გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს წარმატებების მოპოვებას, დახასა ღონისძიებათა განხორციელების მაგისტრალური გზები.

როგორ ვიცავთროთ! სად ვიცავთროთ! ვინ ვაჭრობს! რით ვიცავთროთ!

დიახ, ამ პრობლემებიდან გამომდინარე ამოცანები რომ გადავწყვეტოთ, საჭიროა იქნება ყველა რგოლში და უბანზე უმკაცრესი აყირათიანობის, წესრიგის, წესიერების, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დამყარება და განმტკიცება, მუშაობის სწორი ორგანიზაცია, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის პროცესის სრულყოფა. გადამწყვეტ უბნებზე, ტრესტებსა და სამმართველოებში, ბაზებსა და საწყობებში, მაღაზიებსა და სახელოსნოებში უნდა ამაღლდეს და გაძლიერდეს მუშაკების და უფროსიერეს ყოველისა კომუნისტებისა და კომკავშირელების პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ მსხვილ საწარმოთა და დაწესებულებათა საშეფო მუშაობა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, რომლის შესახებ მასალა დღეკანდელ გაზეთში ბეჭდება.

რომ ვიცავთროთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ვიცოდეთ, უნდა ვისწავლოთ. გზა დაუზუთოთ უვიცობასა და უწიგნურებს, უხეშობასა და საქმის ორგულებს.

პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში პროგრესული მეთოდების დანერგვა. ამასთან საჭიროა ამ დარგების საწარმოება გადავიყვანოთ შრომის ანაზღაურების პროგრესულ, მოწინავე ფორმებსა და სისტემებზე. ფართოდ უნდა გავუწიოთ პროპაგანდა, ყოველმხრივ შეეისწავლოთ და დაენერგოთ მოწინავე მუშაკთა — გამყიდველთა, ხელოსანთა, სექციონერთა, მომმარაგებელთა, სპეციალისტთა საგულისხმო გამოცდილება. ამ მხრივ საინტერესო იქნება პლენუმის მონაწილეთა და კერძოდ, გორის რაიონის მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის სასურსათო მაღაზიის გამყიდველის ე. ბიბილაშვილის, რუსთავვაჭრობის № 161 უნივერსალური სასურსათო მაღაზიის დირექტორის ნ. შარაშენიძის, თბილისის ინდივიდუალური კერვის № 16 ატელიეს მკერავის, პარტკომფორგ ლ. ცარციძის და სხვათა მუშაობის მეთოდების გაზიარება და დანერგვა.

მაღაზია გამყიდველით იწყებოდ. და ამ ეეშმარიტებას ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, საჭირო ობიექტებთან ურთიერთობა ადასტურებს. უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გამყიდველის კეთილ ღიმილს, რჩევას, ყურადღებიან დამოკიდებულებას, დახმარებას, რომ მოქალაქემ შეიძინოს მისთვის საჭირო ნივთი. რა თქმა უნდა, გამყიდველის კეთილი დამოკიდებულება გვხიბლავს ხოლმე. მაგრამ საჭიროა ვაფასებდეთ და პატივს ვცემდეთ მათს შრომასაც, იმ მძიმე მოვალეობას, რასაც დახლში დგომა შეიცავს. ამ მხრივ ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა სისტემატური აღმზრდელობითი მუშაობა უნდა აწარმოონ მასებში, რათა განმტკიცდეს, გალამაზდეს, გაკეთილშობილდეს გამყიდველისა და მომხმარებლის ურთიერთობა.

ერთი სიტყვით, მარტო გამყიდველი კი არა, მყიდველიც უნდა აღვზარდოთ.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მზადებისათვის მუშაობის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, საერთოდ, მეურნეობის ყველა დარგის და, კერძოდ, მომსახურების სფეროს მდგომარეობის გასუმჯობესებლად, პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მუშაობაში ფართო მასების ჩაბმა, მათი წინადადებების, მოსაზრებების, რჩევა-დარიგებების გათვალისწინება, დიდად სასიკეთო საქმე, წინსვლის საიმედო საშუალებაა. ამიტომ ეს გამოცდილება უთუოდ ფართოდ უნდა დაინერგოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

მთავარი და გადამწყვეტი ის პრის, რომ ახლავე თვალნათლივ ეგრძნობოდეს სერიოზული ძვრები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის მუშაობის ნაყოფი.

პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება უთუოდ უზრუნველყოფს ჩვენი მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მკვეთრ გაუმჯობესებას, პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმას.

ლირსეული შეხვედრა — დიდ იუბილეს

ეროვნით ვადიდოთ სამშობლო!

ეჭიბრების კვალდაკვალ

მოდის ზეგეგმითი ნავთობი

თბილისი. თერთმეტი ათასი ტონა ნავთობი ამოიღეს იანვრის გეგმის გადამეტებით საქართველოს ნავთობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა.

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის „გაშლილ შეჯიბრებაში“ რომ ჩავბნეს, ჩვენმა კოლექტივებმა გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს. — თქვა ჩვენთან საუბარში გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ვ. ჩერნოვმა. — ეს ვალდებულებები წარმატებით სრულდება. წლიურს იანვარში 7 ათასი ტონით მეტი ნავთობი მიიღო სამშობლომ, ვიდრე შარშან შესაბამის პერიოდში.

არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით! ამ დევიზით შრომობენ ქართველი მენავთობეები („კომ“. კორ.).

თელავური კონსერვები საზღვარგარეთ

თელავი. (საკ. კორ.). ხაკონსერვო ქარხნის კოლექტივი იბრძვის პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. ხარისხის სახელმწიფო ნიშნით უკვე უშვებს ორი სახის ნაწარმს. ხოლო წლიურს ამ საპატიო დამლის მოსაპოვებლად კიდევ სხვა სახის ნაწარმსაც. წარადგენს.

თელაველ მეკონსერვეთა ნახელავზე დიდი მოთხოვნილებაა. ქარხნის პროდუქცია იგზავნება საზღვარგარეთის ქვეყნებში ინგლისსა და ავსტრალიაში, იაპონიაში, რუმინეთში, პოლონეთში.

ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის მეორე წელს საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი თვის გეგმა 20 იანვრისათვის 119 პროცენტით შეასრულა, ხოლო რეალიზაციის გეგმა — 106 პროცენტით და ამისათვის იბრძვის, რომ წლიური გეგმის შესრულება სამშობლოს ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის დღეს უპატაკოს.

სრული მეტალურგიული ციკლით

რუსთავი. სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულა იანვრის სახელმწიფო გეგმა მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა. დავალების გადამეტებით გამოშვებულია 125 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია.

იანვრის გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 190 ათასი მანეთის მილები, ფოლადის ფურცლები, წრილსორტული ნაგლინი და სხვა პროდუქცია.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი შეჯიბრების ამ დღეებში მეტალურგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხს. ეს გასაგებიც არის, მეტალურგთა ოთხი სახეობის პროდუქცია წლეულს ხარისხის ნიშნით გამოდის. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეფოლადეები და მილმტლნავები.

ბ. ჯანუა.

არც ეს არის ზღვრული დონე

მიათუარელმა. ავტოტრანსპორტელებმა საიუბილეო წელს 5.650 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი უნდა გადაზიდონ. მნიშვნელოვნად გაიზრდება მგზავრთა გადაყვანაც.

წლევანდელი დავალება გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე გასულ წელს მიღწეული ფაქტური დონე, რისთვისაც გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეიღეთ. მაგრამ ეფიქრობთ, არც ეს იქნება ზღვარი. გვაქვს რეზერვები, რომელთა ამოქმედებით კიდევ უფრო მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს მივაღწევთ.

ავტოტრანსპორტელებმა უკვე დაიწყეს ვალდებულებების განაღდებისათვის ბრძოლა, გადაქარბებით შესრულდა იანვრის დავალება.

ჯ. ხარაიშვილი,
ქიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების დირექტორი.

გაზაფხულს — მაპართული ტექნიკა!

ფინ ახალი მიჯნეებია

ხობი. (საკ. კორ.). გაზაფხულს გამართული ტექნიკა — ამ დევიზით დაიწყეს მეათე ხუთწლედის მეორე წელი თორსის განთიადის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა, რომლებმაც სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმა დროულად და ხარისხოვნად შეასრულეს.

მინდვრად გავიდნენ მექანიზატორები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. კიკალეიშვილი, დ. ქირია, შ. გაგუა, ჯ. ჯგერენაია, თორსის სოუკუნოვანი ბაობის დამშრალ მიწაზე ტრაქტორები სასიამოვნოდ ხხავენ მიწას, გაჰყავთ წყალგამტარი არხები, აკეთებენ სფერულ კვლებს.

მექანიზატორები და მბჯენელ-მთესველები სამარცვლე სიმინდის დასათესად 50 ჰექტარ ახალ მიწას აითვისებენ.

ხელი გვეშლება

ახალციხე. მუსხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე მზად გვაქვს სხვადასხვა მარკის 7 ტრაქტორი, 3 გუთანი, 2 კულტივატორი, მარცვლსათესი, სასუქის შესაკეთებელი მანქანები, კიდევ გვაქვს შესაკეთებელი მანქანები, მაგრამ ერთი მოსაგვარებელი საკითხია გადასაჭრელი. მანქანა-იარაღების რემონტს ყოველთვის ადგილზე ეაწარმოებთ. სამწუხაროდ, ამ საქმეში ხშირად ხელი გვეშლება კარბიდის, ჟანგბადის, ელექტროდების უქონლობის გამო. ამ ხაკლებობას რაიონის სხვა საწარმოებრივ მეურნეობათა მექანიზატორებიც განიცდიან. რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ სათანადო დახმარება უნდა გაგვიწიოს ამ საკითხის მოგვარებაში.

ბ. ოქროშელიძე,
ახალციხის რაიონის სოფელ მუსხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

მიფრინავს „სოიუზ-24“

ფრუნის მართვის ცენტრი, 8 თებერვალი. (საკ.). 8 თებერვალს მოსკოვის დროით 13 საათისათვის „სოიუზ-24“ კოსმოსურმა ხომალდმა 12-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

დღეს კოსმონავტების ამხანაგების ვ. ვ. გორბატკოსა და ი. ნ. გლაზკოვის სამუშაო დღე 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყო. კავშირის მორიგი სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა განაცხადა, რომ ეკიპაჟი ასრულებს ფრენის დასახულ პროგრამას.

8 თებერვალს განხორციელებული მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ „სოიუზ-24“ ხომალდის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 281 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 218 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 89,2 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები ვიქტორ გორბატკო და იური გლაზკოვი თავს კარგად გრძნობენ.

8 თებერვალი

„პრავდის“ ფურცლებზე

„მეტი ზრუნვა საყოფაცხოვრებო სამსახურს“ — ასეთი სათაური აქვს მოწინავე წერილს, რომელშიც ვკითხულობთ: „სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩვენს ქვეყანაში საყოფაცხოვრებო სამსახური. უკანასკნელ ხუთწლედში ამ დარგის საწარმოთა რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზარდა და ახლა 260 ათასს აღემატება. მოსახლეობის მომსახურებით დასაკმაყოფილია თითქმის ორნახევარი მილიონი მუშაკი. საყოფაცხოვრებო სამსახური, რომელიც ადამიანებს სულ უფრო მეტ ცხოვრებისეულ სიკეთეს აძლევს და უზოგავს დროს, ყოველდღიური საზრუნავისათვის რომ ხარჯავენ ახლი, ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობის ზრდას, მშრომელებს უქმნის სწავლის, ბავშვების აღზრდის, გონივრული დასვენების პირობებს“. წერილში ლაპარაკია იმ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებებზე, რომლებიც დასახულია საყოფაცხოვრებო ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის. „XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1976 წლის) პლენუმზე წარმოთქმულ ხიტყვაში გამოთქმული დებულებებისა და დასკვნების გათვალისწინებით... უნდა მივაღწიოთ, რომ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, დავრაზმოთ კომუნისტები, კომკავშირელები, საყოფაცხოვრებო სამსახურის ყველა მშრომელი მუშაობის ხარისხის ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის. ამ დარგში კი გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, — ნათქვამია შემდეგ წერილში. — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი სრულყოფის ინტერესები მოითხოვენ, რომ პარტიულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მომსახურების სფეროს პარტორგანიზაციების განმტკიცებას, მათი აქტიურობისა და ბრძოლისუნარიანობის განვითარებას. ლაპარაკია უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ გავაძლიეროთ კომუნისტების ავანგარდული როლი გეგმებისა და ვალდებულებების განაღდებაში, გავაჩაღოთ ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება მომსახურების მაღალი კულტურისათვის, უფრო ეფექტიანად წარვმართოთ აღმზრდელობითი მუშაობა. ამასთან ერთად საჭიროა დარგის საწარმოებში გავაძლიეროთ პარტიული კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობაზე, მეტი მომთხოვნელობა გამოვიჩინოთ ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისადმი. ძალიან მნიშვნელოვანია გავაძლიეროთ მუშაობა კადრებთან, ავამაღლოთ ამ პროფესიების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია მშრომელთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან“.

გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების დღიურს, ფოტორეპორტაჟში „ხუთწლედი, წელი მეორე — კომუნისტთა მაგალითი გვიხმობს“ დაბეჭდილია ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა სახელოვანი ბრიგადირის დ. ჭანტურიას სურათი.

პარტიულ ცხოვრებაში მუშაობის ლენინური სტილის დანერგვისათვის მკითხველებს მეორე გვერდზე ესაუბრება უკრაინის კომპარტიის კიევის საქალაქო კომიტეტის მდივანი ტ. გლავაკი („რით არის განმტკიცებული თაოსნობა?“).

„ამ რამდენიმე კვირის წინათ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საქონელზე ზოგიერთი ფასების მოწესრიგებისათვის, ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეგნებულად და მოწონებით შეხვდნენ“, — ნათქვამია დონეცკელი მეშახტეთა ბრიგადირის ვ. ლიუბჩაკის წერილში „პრავდისადმი“. გაზეთი განყოფილებაში „მკითხველთან მიმოწერა“ აქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. გლუშკოვის სტატიას ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ თემაზე.

ნომერში მკითხველი ეფიცნობა ბევრ სხვა საყურადღებო მასალას ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ცხოვრებაზე.

ხუთწლედის ადამიანები

თბილისის კერამიკულმა კომბინატმა თავისი პირველი პროდუქცია ამ 28 წლის წინათ გამოუშვა. მის შექმნაში გარკვეული წვლილი შეიტანა ვ. მინდიაშვილმა. მას შემდეგ ხაკმაო დრომ განვლო. წარმოებამ სახე იცვალა, გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი.

მეათე ხუთწლედის პირველი წლის ფინესშზე დამთავრდა კომბინატის რეკონსტრუქცია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი სიმძლავრე, საწარმოო პროცესის ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა სრულყოფამ ხაგრძნობლად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

რეკონსტრუქციის შემდეგ ხაწარმოში მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი მოვიდა, რომლებმაც კვალიფიკაცია მონათესავე საწარმოებში აიმაღლეს. მათ შორის არის ვეტერანი მუშის შვილი ი. მინდიაშვილი, რომელიც მამის კვალს გაჰყვა და მოსაპირკეთებელი ფილების ახალ კონვეიერულ ხაზს ემსახურება.

სურათზე: კერამიკული კომბინატის ვეტერანი მუშა გამომშვები ვასილ მინდიაშვილი და მისი ვაჟი ივანე მინდიაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მეხუთე ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მეხუთე ყრილობა გაიხსნება 1977 წლის 11 თებერვალს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 9,10 თებერვალს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში (ლენინის ქ. № 14) დილის 10 საათიდან 21 საათამდე, ხოლო 11 თებერვალს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დილის 9 საათიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა.

საპატიო ჯილდოები გადაეცათ

8 თებერვალს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ორდენები გადასცა. მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეებს.

ლენინის ორდენები გადაეცათ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. მატჩანოვს, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ს. ბ. ნიაზბეკოვს, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ს. ბარკაუსკასს.

შრომის წითელი დროშის ორდენები გადაეცათ ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ტ. კულატოვს, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. ხოლოვს, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა.-მ. კლიჩოვს.

ნ. ვ. პოდგორნიმ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულნი, უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და ახალი დიდი წარმატებები მათს საქმიანობაში. (საკ.).

საქართველოს კპ აღიგენის რაიკომის პლენუმი

აღიგენი. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის აღიგენის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო საქართველოს კომპარტიის აღიგენის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. მ. მ. ჭაკაია.

საქართველოს კომპარტიის აღიგენის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ვ. ა. ახმეტელი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი.

შეფები იწყებენ...

პირველმაისელთა პირველი ნაბიჯები

მასშტაბური და მეცნიერული, ყოვლისმომცველი და გლობალური, კომპლექსური და „კომპეტენტური — მხოლოდ ამ სიტყვებით თუ გამოვხატავთ იმ დიდ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმის მასალები, როცა მას ეცნობით. პლენუმმა განიხილა მომსახურების სფეროს პრობლემები და დასახა „გაუმჯობესების ღონისძიებები. მისი მუშაობის ლეიტმოტივად იქცა: ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! პლენუმის დამამთავრებელ, დიდებულ აკორდად გაისმა დიდი ოპტიმიზმით და პუმანიზმით გამსჭვალული სიტყვები:

დაე, სჯეროდეს ჩვენს ხალხს და თვითონ დარწმუნდეს იმაში, რომ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება რესპუბლიკის პარტორგანიზაციის საქმიანობაში... ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში, და განსაკუთრებით ჩვენი მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მომსახურების მთელი სფეროს ყოველმხრივ გაუმჯობესებაში.

და რომ ეს ხვალინდელი კი არა, დღევანდელი ამოცანაა. ამას ჩვენი ხალხი ჩვენგან მოელის არა ხვალ, არამედ — დღეს, სწორედ დღეს!

ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის, მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიულ კომიტეტებში უკვე ჩაღდება ორგანიზატორული და მასობრივი მუშაობა, ბევრგან საქმე მარტო პლენუმის მასალების განცნობით და ფართო პროპაგანდით კი არ დაწყებულ, არამედ მის პრაქტიკულ ხორცშესხმასაც შეუდგნენ.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მასის რაიონის პირველი მდივანს ამხ. ბ. მაბარაშვილს და სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ამხ. ვ. კერესელიძეს — ესაუბრა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ხ. ხარაზიშვილი. ვაქვეყნებთ საუბრის ჩანაწერს.

კითხვა: პლენუმის მონაწილენიც და ისინიც, ვინც მის მასალებს პრესით, რადიოთი და ტელევიზიით გაეცნენ, ყველა ერთი აზრისაა — ეს პლენუმი ეშმარიტად განსაკუთრებული მოვლენა იყო როგორც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ისე ერის ცხოვრებაში და იგი განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში. რას იტყოდით თქვენ, როგორც პლენუმის მუშაობის უშუალო მონაწილე?

პასუხი: ეს ნამდვილად ასეა და თითქოს ბუნებრივიც, რადგანაც პლენუმის მიერ განხილული პრობლემა თანაბრად და განურჩევლად ეხება და აღელვებს ყველას, ჩვენი საზოგადოების თვითეულ წევრს. პლენუმმა აღგვაჭურვა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობის ნათელი პროგრამით, ხელთ გვაქვს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. ახლა კი მთავარია გავაძლიეროთ იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, — როგორც პლენუმზე ითქვა, — რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან პლენუმის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლას. დავრაზმოთ რაიონის ყველა კომუნისტი, თვითეული მშრომელი, მთელი მოსახლეობა.

კითხვა: მართალია, მცირე დრო გავიდა მას შემდეგ, რაც პლენუმმა მუშაობა დაამთავრა, მაგრამ ბევრგან უკვე შეუდგნენ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობას. ხომ ვერ გაიცნობთ „კომუნისტის“ მკითხველებს, რა გაკეთდა ამ მიმართულებით პირველი მაისის რაიონში?

პასუხი: სიამოვნებთან, მითუმეტეს, რომ ზოგი რამ, მართლაც, გვაქვს სათქმელი. V პლენუმის მუშაობის დამთავრების ზუსტად მეორე დღიდან შევუდექით სამზადისს. 30 იანვარს გაიმართა პარტიის რაიკომის, რასაბეჭოს აღმასკომის, სახალხო კონტროლის კომიტეტის, კომკავშირის რაიკომის აპარატის მუშაკთა თათბირი. მე, როგორც პლენუმის მონაწილემ, დამსწრეთ გავაკანონ შედეგები, გაეუზიარე შთაბეჭდილებები. თათბირზე ითქვა, რომ ამ ეტაპზე პირველი და დიდნონშენელოვანი ამოცანა ის არის, თუ როგორ გავშალოთ ორგანიზატორულ-მასობრივი მუშაობა გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდისათვის, როგორ მოვამზადოთ პარტიული კრებები, როგორ ავამოქმედოთ პროპაგანდისტ მთელი არსენალი — მოვაწყოთ პლენუმის მონაწილეებთან შეხვედრები, პოლიტინფორმატორთა საუბრები, სამეცნიერო და თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციები, მასობრივი აგიტაცია და თვალსაჩინოება, რათა პლენუმის გადაწყვეტილებები გავაცნოთ თვითეულ კომუნისტს, ყველა მშრომელს. შევიმუშავეთ ვრცელი, პერსპექტიული გეგმა.

კითხვა: ხომ არ გადაგიდგამთ ნაბიჯები გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელებისათვის?

პასუხი: თუმცა მოკრძალებული ნაბიჯები, მაგრამ მანც გადავდგით.

კითხვა: გვითხარით, თუ შეიძლება, როდის და რა გაკეთდა?

პასუხი: ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად სავაჭრო ობიექტებზე მსხვილ საწარმოთა და ორგანიზაციათა შეფობა მივიჩნიეთ. ამ საკითხთან დაკავშირებით 2 თებერვალს რაიკომში მოვიწვიეთ საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, პარტკომებისა და პპრტბიუროების მდივნები, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები, სახალხო კონტროლისა და კომკავშირის წარმომადგენლები. საკითხის განხილვას დიდი ინტერესი და აზრთა გაცხოველებული გაცვლა მოჰყვა. საქმის წამოწყებებად რაიონის ორი დიდი კოლექტივი გამოვიდა — თბილგვირაბმშენისა და სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებებისა. ამოცანად დავისახეთ ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ ობიექტის ხელმძღვანელებთან ერთად ხელი აიღონ უწინარეს ყოვლისა, თავიანთი სასადილოებისა და ბუფეტებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება გაუწიონ მათ.

სხვათაშორის, იმავე დღეს, საღამოს მოკაზმეყო თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები პარტიის XXV ყრილობის შესაბამისად“. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პლენუმის გადწყვეტილებათა იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. კონფერენციას 400-მდე კაცი ესწრებოდა.

კითხვა: კიდეე რა საქმიანობა გასწიეთ პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით?

პასუხი: 3 თებერვალს პარტიის რაიკომის ბიურომ შექმნა ოპერატიულ-საკოორდინაციო კომისია. მასში გაერთიანებულია 40-ზე მეტი კაცი. აქ არიან პარტიის რაიკომის, აღმასკომის, სახალხო კონტროლის, კომკავშირის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები, რაიონის მოწინავე მუშები. ასეთივე კომისიები იქმნება ადგილებზე. მათი მოგალითაა პრობლემების გადაჭრაში ოპერატიული დახმარება გაუწიონ მომსახურების სფეროს ობიექტებს, იქ მორიგეობაზე მყოფ ამხანაგებს და შეფებს მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლაში, სისტემატიური კონტროლი დაუწესონ მათს საქმიანობაზე. ამ კომისიებზე დიდ იმედს ვამყარებთ.

კითხვა: პლენუმზე გაკრიტიკეს თქვენი რაიონის თამბაქოს გაერთიანების დირექტორი, პარტიული ორგანიზაცია, საწარმოს ადგილკომი ამისათვის, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სასადილოს მუშაობას, რომ მათ ცუდად ესმით თავიანთი ამოცანები და მოვალეობა. რა გაკეთეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

პასუხი: რაიონის ხელმძღვანელები, რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს და საზ-კვების ტრესტის წარმომადგენლები იყვნენ ადგილზე, ესაუბრნენ მუშებს, ღრმად გაეცნენ სიტუაციაში. აღმოჩნდა, რომ აქ სისტემატურად არა აქვთ ბოსტნეულის კერძები, საკონდიტრო ნაწარმი, ცუდად არის ორგანიზებული სასადილოს მუშაობა, უნდა გაუმჯობესდეს სანტარიაც. უმოკლეს ხანში მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორებისათვის დაისახა ერთობლივი ღონისძიება.

პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ შეფობა მიგვიჩნია მომსახურების სფეროს მუშაობის ძირეული გარდაქმნის ერთ-ერთ ქმედით და საიმედო ფორმად, რომელმაც მალე უნდა გამოიღოს რეალური ნაყოფი, თუ რა თქმა უნდა, არა მარტო ქოალდზე, ფორმალურად, არამედ, საქმით, ნამდვილად განვახორციელებთ, სრული პასუხისმგებლობით მივუდგებით მას. ამასთან ამ ღონისძიებას ერთდროულ კომპანიად კი არა ვთვლით, ხანგრძლივი მოქმედებისათვის ვთვალისწინებთ.

ჩვენი აზრით, შეფობა მომსახურების სფეროში წესრიგის დასამყარებლად საზოგადოების აქტიური ჩაბმისა და ზემოქმედების კარგი საშუალებაა, ამაკი დროს გამყოფელია და მომხმარებლის ურთიერთ აღზრდისა და პატივცემის საშუალებაც.

კითხვა: რომელ ობიექტზე იკისრეს შეფობა გვირაბმშენებლებმა და საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა.

პასუხი: გვირაბმშენებლებმა — თავიანთი კვების დახურულ ქსელსა და ვაგზლის „მოედანზე მდებარე თბილკვებაჭრობის № 1 მაღაზიაზე, კაფე „ია“ და თბილხლობოსტანვაჭრობის № 6 მაღაზიაზე, საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა კი გადაწყვიტა დახმარება გაუწიოს წერეთლის პროსპექტზე განლაგებულ რამდენიმე ობიექტს — რაკვებაჭრობის № 7 მაღაზიას, თბილმრეწვეაჭრობის № 169 მაღაზიასა და რაკვებაჭრობის № 3 პავილიონს.

შეფი და შეფადაყენილი კოლექტივების ხელმძღვანელები 4 თებერვალს ავლავ იყვნენ პარტიის რაიკომში, ხოლო ამ დღეებში — ურთიერთშორის გაიფორმეს ხელშეკრულება.

კითხვა: გთხოვთ გაგვაცნოთ, რა არის ამ შეფობის ძირითადი არსი და რა აუცილებელ მომენტებს ითვალისწინებს იგი?

პასუხი: ამ საკითხზე უკეთესია თვით შეფების წარმომადგენელი — სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ამხ. ვ. კერესელიძე გვესაუბროს.

კერესელიძე: შეფობის მთავარი მიზანია ყოველმხრივ დეხმაროს ვაჭრობის მუშაკებს წარმატებით განახორციელონ თავიანთი უპირველესი მოვალეობა — უზრუნველყოფ მომხმარებელთა მომსახურების მაღალი დონე. ამასთან ხელი შეუწყოს დახლის მუშაკთა წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრას. ობიექტის ხელმძღვანელებს დავხმაროს შენობის მიმდინარე რემონტში, ტექნოლოგიური და სამაცივრო დანადგარების გამართულ მუშაობაში, საქონლების შემთხვევაში მიაშველოს ტრანსპორტიც, დაუწესოს რეგულარული მორიგეობა. მორიგეები თვალყურს უნდა ადევნებდნენ, რომ არ ირეოდეს ფასები, მომხმარებელს არ ატყუებდნენ წონაში, ზომაში, ხარისხში. ობიექტის დირექტორსა თუ გამგესთან ერთად მონაწილეობა მიიღონ მუშტარსა და გამყიდველს შორის წამოჭრილი დავის მოგვარებაში. დაუწესონ კონტროლი მაღაზიის მუშაობის რეჟიმზე, ხარისხ ფულის მარაგზე, საქონლის მოწოდების გრაფიკისა და ვაჭრობის წესების დაცვაზე, ამოწმებდნენ პროდუქტების ხარისხს, კალკულაციის სისწორეს, მენიუს მრავალფეროვნებას, ხოლო ჯანმთელობის ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად სანტარული მდგომარეობას და სხვ.

ვფიქრობ, მეტად საყურადღებო და განსაკუთრებით საყოველსმოა ჩვენი, შეფების პასუხისმგებლობა. ჩვენ ვკისრულობთ, რომ ობიექტის ხელმძღვანელებთან ერთად და თანაბრად ვაგებთ პასუხს შექმნილი მდგომარეობისათვის. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. სამუშაოს დამთავრებისას მორიგეები სპეციალურ რვეულში აღნუსხავენ დღის განმავლობაში მომხდარ დარღვევებს. ამის გარდა, მორიგე, როგორც საზოგადოებრივი კონტროლორი, აღჭურვილია სხვა უფლებებითაც, საჭირო შემთხვევაში მან უნდა შეადგინოს აქტი, გამოიძახოს ადმინისტრაციული ან რაზმის წარმომადგენელი და ა. შ.

კითხვა: ორანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა, თუ რას ითვალისწინებთ თქვენს გაერთიანებაში დახლის მუშაკთა შრომის შემოსავლიანობა, დაფასებისათვის?

პასუხი: არც ეს გამოგვრჩენია მხედველობიდან. ცნობილია, რომ გამყიდველის შრომა ერთობ ძვირფასი და ძნელია. მას ადამიანებთან აქვს ურთიერთობა, ადამიანი კი ითასნაირია. დღეში რამდენი ხასიათის კაცს არ შეხვდება, ზოგი ფიცხია, ზოგი — დინჯი, ზოგი — წყნარია, ზოგიც — ნერვიული, და მაინც, გამყიდველი მოვალეა ყველას გაუგოს, გაუღიმოს, თავაზიანად და ზრდილობიანად მოეკეცოს, ე. ი. ადამიანებს მოეშახეროს და მოემსახუროს არა უბრალოდ, არამედ კულტურულად. ასეთია დახლის მუშაკის საქმიანობის განმასხვავებელი და თავისებური ნიშნები.

და რომ შრომის ეს სიმძიმე შეეუმსუბუქოთ და ღირსეულად დავაფასოთ, ჩვენ წავახალისებთ მათ, მოვიწვევთ ჩვენს კოლექტივში, ახლოს გავეცნობით ერთმანეთს, ჩვენი ლხინისა და ჭირის თანაზიარს გავიხდით, დავასწრებთ ზეიმებსა და საღამოებს, რომ კარგად გავიგოთ, როგორც იტყვიან, რით ცხოვრობენ, რით სუნთქავენ. ერთი სიტყვით, ისეთ ატმოსფეროს შეეუქმნით, რომ მათაც იგრძნონ ყურადღება და პატივისცემა, დარწმუნდნენ, რომ ვაჭრობის მუშაკის შრომაც ისევე აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენთვის, ისევე დასაფასებელი და პატივსაცემია, როგორც წარმოების ყველა სხვა მუშაკისა, რომ დიდი კოლექტივის საერთო საქმეში მათაც შეაქვთ თავიანთი წვლილი. ეს უპირველესად და განსაკუთრებით ეხება საწარმო-დაწესებულებათა, აგრეთვე სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დახურული ქსელის საზოგადოებრივი კვების ობიექტების, — სასადილოების, ბუფეტების თანამშრომლებს. ჩვეულებრივ ხომ მათ საწარმოს № 1 საამქროს უწოდებენ. შეფებმა უნდა გამონახონ შესაძლებლობა ვაჭრობის წარჩინებულ მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისებისათვის, ან აღძრონ საკითხი ამის თაობაზე შესაბამის ორგანოებში. წარმოების მოწინავეებთან ერთად ვაჭრობის მოწინავეთა პორტრეტებსაც გამოვაკრავთ.

რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი, რაც მთელ საშეფო საქმიანობას შეეხება, ამ მიმართულებით შემდგომ გავაძლიერებთ და გავაღრმავებთ მუშაობას, გზადაგზა ვეძიებთ და გამოვნახავთ, დავხვეწავთ და გავაუმჯობესებთ მეთოდებს, გამოვიყენებთ იმათი მუშაობის ხერხებსა და საშუალებებს, რომლებსაც საამისო დიდი ტრადიციები აქვთ. მხედველობაში გვაქვს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მდიდარი გამოცდილება, რომელმაც პლენუმზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამგვარად, ვფიქრობთ, თანდათან სულ უფრო სრულყოფილ საშეფო მუშაობას, რათა მივაღწიოთ მკვეთრ გარდაქმნას მომსახურების სფეროში.

კითხვა: ასეთი ღონისძიებები მომსახურების ყველა სფეროში განხორციელდა, თუ მარტო ვაჭრობაში?

მაბარაშვილი: ჯერჯერობით მხოლოდ ვაჭრობაში. ანალოგიური წამოწყება გადაწყვეტილი გვაქვს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზეც გავაკრავლეთ. შევუდექით მოსამზადებელ მუშაობას. უახლოეს ხანში მასაც განვახორციელებთ.

ესარგებლობ გაზეთის მიერ შემოთავაზებული უფლებით და მინდა გავიმეორო პლენუმის საპატიო ტრიბუნიდან ნათქვამი სიტყვები და იმით დავამთავრო ჩვენი საუბარი:

„და თუ თვითეული ასეთ ინტერესს გამოიჩენს, ასე მობილიზებული, შეკავშირებული და დარაზმული გვექნება მთელი ჩვენი ძალები, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ!“

გავაძლიეროთ მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ფონდი

ხორცის, რძისა და კვერცხის სახელმწიფო შესყიდვები ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1977 წლის 1 თებერვლისათვის I კვარტალის გეგმასთან და 1976 წლის იანვრის შესყიდვებთან შედარებით.

რაიონები	ხორცი: I კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტებით	ხორცი: პროცენტებით 1976 წ. შედარებით	ხორცი: საშუალო წონა: საერთო	ხორცი: საშუალო წონა: ღორი	რძე: I კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტებით	რძე: პროცენტებით 1976 წ. შედარებით	რძე: საშუალო წელადობა პროცენტებით 1976 წ. შედარებით	კვერცხი: I კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტებით	კვერცხი: პროცენტებით 1976 წ. შედარებით	კვერცხი: საშუალო ტონადობა ბუდეებით 1976 წ. შედარებით
ახალქალაქის	35	126	304	73	26	105	104	—	4-ჯერ	
ბოგდანოვკის	27	108	276	—	28	107	102		—	
ახალციხის	26	79	247	127	22	95	101	35	93	70
ადიგენის	55	116	226	92	19	102	95	—	—	
ასპინძის	48	107	245	—	9	55	85	20	100	73
ხაშურის	31	89	263	89	28	99,0	95	39	105	133
ქარელის	17	43	234	88	25	102	99	14	57	64
გორის	29	89	304	104	26	96	100	34	95	94
კასპის	36	111	246	103	25	110	106	26	116	100
ბორჯომის	45	139	174	70	23	103	212			
საგარეჯოს	21	103	264	93	24	99,4	87	26	77	64
გურჯაანის	21	66	276	94	31	126	117	18	40	3-ჯერ
სიღნაღის	22	43	304	116	31	107	102	8	33	33
წითელწყაროს	30	80	309	102	35	115	100	21	71	55
თელავის	19	51	270	84	28	96	104	19	89	86
ახმეტის	22	44	243	82	30	102	107	—	—	
ყვარლის	17	50	245	81	24	81	82	9	23	50
ლაგოდეხის	11	34	256	87	25	92	92	8	40	60
გარდაბნის	24	70	279	99	30	116	102	30	88	77
მცხეთის	31	64	285	108	27	118	109	32	149	100
მარნეულის	37	149	283	82	30	109	99			
ბოლნისის	24	113	272	48	29	99,5	91	34	92	80
წალკის	45	112	248	101	23	88	103			
დუშეთის	8	37	187	60	31	125	105	138	4-ჯერ	3-ჯერ
თეთრიწყაროს	20	52	228	93	29	105	105	34	77	100
დმანისის	33	72	249	—	25	99,5	87	—	—	
თიანეთის	24	140	232	95	25	106	120	8	33	—
ყაზბეგის										
სამხრეთ ოსეთის აო	30	117	216	73	24	124	104	9	4-ჯერ	233
წყალტუბოს	26	65	225	62	36	126	107	40	156	120
სამტრედიის	25	55	130	133	26	99,4	107	24	99	82
ფოთის	17	57	243	114	28	108	111	—	—	
ვანის	38	80	217	101	26	88	101	17	—	150
მაიაკოვსკის	26	86	222	45	21	60	102			
ზესტაფონის	35	75	195	93	33	112	109			
თერჯოლის	31	75	188	106	35	149	136	32	129	88
ქ. ჭიათურის	61	135	210	73	30	116	110			
საჩხერის	36	81	232	94	39	148	115	34	83	86
ორჯონიკიძის	41	179	211	42	26	96	105			
ქ. ტყიბულის	43	83	201	98	46	112	95	3	11	110
ონის	43	4,9-ჯერ	218	80	22	5-ჯერ	109	10	200	100
ამბროლაურის	65	213	218	74	24	215	87	38	132	143
ცაგერის	19	141	265	79	32	212	122	5	200	6-ჯერ
ლენტეხის	43	—	242	16	184	—	100			
აბაშის	35	60	264	97	26		125			
ხობის	31	74	195	42	25	113	114	52	4-ჯერ	180
გეგეჭკორის	40	71	224	68	29	121	132	—		
ზუგდიდის	18	39	308	81	35	129	123	22	105	114
ხობის	23	72	215	92	25	115	113	—	—	
წალენჯიხის	25	104	241	80	27	188	118	11	87	100
ჩხოროწყუს	46	105	186	69	33	126	102	80	209	100
მასხარიის	31	58	279	95	33	129	109	21	248	200
ლანჩხუთის	41	85	234	76	23	89	94	26	104	175
ჩოხატაურის	34	49	170	69	33	109	122	—	—	
მესტიის	—	49	—	—	—	—	126			
ქ. ფოთის	20	58	—	—			70			
აფხაზეთის ასსრ	29	81	245	124	32	121	122	31	106	86
აბკარის ასსრ	18	68	184	84	26	115	114	33	118	130
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	28	79	242	91	28	109	104	29	93	83

უთუოდ შევასრულოთ მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი — ასეთია დღეს საქართველოს მეცხოველეთა საბრძოლო ლოზუნგი. ისინი ძალღონეს კი არ ზოგავენ იმისათვის, რომ გაადიდონ ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება, გააუმჯობესონ მათი ხარისხი. ფერმების მშრომელებს თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ. ამ დარგში ახალი მიჯნების მიღწევა დაუსახა მათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმაც.

მაგრამ 1977 წლის პირველი თვის შედეგები, თუმცა კარგი ფინიშის იმედს გვაძლევენ, რამდენადმე ეჭვსაც ბადებენ. როგორც ეს მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ბევრი მეურნეობის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ სათანადო ნაბიჯები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, რეზერვებისა და შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების გზაზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ბევრი გადაუდებელი საკითხია გადასაწყვეტი.

ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1977 წლის იანვარში პირუტყვისა და ფრინველის, რძისა და და კვერცხის სახელმწიფო შესყიდვას გასული წლის ამავე თვესთან და პირველი კვარტალის გეგმასთან შედარებით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ხორცის შესყიდვამ (პირუტყვი და ფრინველი) შარშანდელ იანვართან შედარებით შეადგინა 79 პროცენტი, რძისამ — 109, კვერცხისამ — 93 პროცენტი. ხორცისა და რძის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 28 პროცენტით, კვერცხისა — 29 პროცენტით.

35 რაიონში, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, შესყიდულია ნაკლები პირუტყვი და ფრინველი, ვიდრე შარშან იანვარში. ქარელისა და სიღნაღის რაიონებში შესყიდულია გასული წლის დონის 43 პროცენტი, ახმეტის რაიონში — 44, ლაგოდეხის რაიონში — 34, ყვარლის რაიონში — 50, დუშეთის რაიონში — 37, თეთრი წყაროს რაიონში — 52, ზუგდიდის რაიონში — 39, ჩოხატაურისა და მესტიის რაიონებში — 49, თელავის რაიონში — 51 პროცენტი.

ხორცის შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმას უსწრებენ ამბროლაურის რაიონი, ადიგენის, ასპინძის რაიონები, ქალაქ ჭიათურის ზონა.

რძის შესყიდვა გასული წლის იანვართან შედარებით შემცირდა 15 რაიონში და შეადგინა: ასპინძის რაიონში — 55 პროცენტი, მაიაკოვსკის რაიონში — 60, ლანჩხუთის რაიონში — 89, წალკისა და ვანის რაიონებში — 88, ყვარლის რაიონში — 81 პროცენტი. დაჩქარდა რძის დამზადების ტემპი ამბროლაურის, ცაგერის, ონის, წალენჯიხის, საჩხერის და რამდენიმე სხვა რაიონის მეურნეობებში.

რესპუბლიკის 18 რაიონმა შემაცირა კვერცხის შესყიდვის მოცულობა. მათ შორის არიან ქარელის რაიონი, სადაც შესყიდვამ შეადგინა 57 პროცენტი, საგარეჯოსი — 77, წითელ წყაროსი — 71, ლაგოდეხისა — 40, თიანეთისა — 38, სიღნაღისა — 33 პროცენტი. განსაკუთრებით დაბალია შესყიდვა ყვარლის რაიონში — 23 პროცენტი.

ბევრი რაიონი კვლავ შეუწყნარებლად მცირე წონის მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა და ღორს ამარებს სახელმწიფოს. მაგალითად, იანვარში ბორჯომის რაიონის მეურნეობების მიერ ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა იყო 174 კილოგრამი, ღორისა — 70 კილოგრამი, დუშეთის რაიონში შესაბამისად — 187 და 60, ცხაკაიას რაიონში — 194 და 42, ჩხოროწყუს რაიონში — 186 და 69, ჩოხატაურის რაიონში — 170 და 69, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 184 და 84. სრულიად შეუწყნარებელია, რომ სამტრედიის, ზესტაფონის, თერჯოლის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სარეალიზაციოდ გათვალისწინებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 200 კილოგრამსაც კი არ იწონიდა.

მთლიანად რესპუბლიკაში გაიზარდა საშუალო წველადობა, თუმცა აქაც არიან ჩამორჩენილები — ყვარლის, ასპინძის, დმანისისა და სხვა რაიონები.

შარშანდელ იანვართან შედარებით 16 მეურნეობაში შემცირდა საშუალო კვერცხმდებლობა და გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონესთან შედარებით მთლიანად რესპუბლიკაში 83 პროცენტი შეადგინა. განსაკუთრებით შემცირდა იგი სიღნაღის რაიონში — 33 პროცენტი, ლაგოდეხის რაიონში — 60, საგარეჯოსა და ქარელის რაიონებში — 64, ახალციხის რაიონში — 70, ასპინძის რაიონში — 73 პროცენტი.

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. აქ არ უნდა იყვნენ ჩამორჩენილები, რადგან რესპუბლიკაში დარგის შემდგომი ინტენსიური აღმავლობის ყველა შესაძლებლობა გვაქვს. წელი მხოლოდ ახლა დაიწყო. ჯერ კიდევ არის დრო დაკარგულის ანაზღაურებლად. პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყოველმხრივ უნდა გააანალიზონ წარუმატებლობანი, შეიმუშაონ მუშაობის ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, ყველაფერი იღონონ, რათა მომდევნო თვეებში მოწინავე მიჯნებს მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში. (საქინფორმი).

ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲗᲘᲛᲐᲖᲔ

უკმარისობის გრძნობა

შარშან გაზეთმა „ქუთაისმა“ გამოაქვეყნა წერილი „უკმარისობის გრძნობა“. იგი ეხებოდა საავტომობილო ქარხანაში პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შემდეგ კომუნისტთა აქტივობის ზრდას.

წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ უკმარისობის გრძნობას, მრავალი კომუნისტის გულს რომ დაუფლებია, ახალ სიმაღლეებზე აკაყავს ქარხნის მრავალთასიანი კოლექტივი.

მეორე დღეს სარედაქციო თათბირზე ნომრის განხილვისას ერთსულოვნად მოვიწონეთ ეს წერილი და წავახალისეთ მისი ავტორი. გადაწყდა თვითეული ჟურნალისტის შემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი გახდეს უკმარისობის გრძნობა, დაუოკებელი მისწრაფება სიახლის ძიების გზაზე.

გავიდა ხანი და გაზეთის ფურცლებზე აისახა მრავალი ახალი პრობლემა, როშლებიც დიდად საჭირბოროტო იყო ქალაქის პარტიული ორგანიზაციებისათვის, საწარმო-დაწესებულებებისა და საქალაქო მეურნეობისათვის.

მთავარ საზრუნავად გავიხადეთ მეათე ხუთწლედის მოკრების აღებაში ხელსაყრელი პოზიციები მოგვენახა და პრაქტიკული ღონიძღებულების საქმეთა მოთავეები გავიხსენიეთ. ამ მიზნით მთელ რიგ საწარმოებში გაზეთ „ქუთაისის“ საგუშაგოთა წევრებს მოვეთათბირეთ, რომ გამოგვეძებნა წარმოების მოცულობის ზრდის რეზერვები. თითქმის ყოველ ნომერში ვბეჭდავთ მასალებს სპეციალური რუბრიკით.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელების კომისიამ მარშან დაფინანსურებულ საწარმოებთან ერთად ჩვენი რედაქცია სათანადოდ დააჯილდოვა წარმოების მოცულობის ზრდის საქმეში ბეჭდვითი სიტყვის ეფექტური გამოყენებისათვის. ამან სტიმული მოგვცა ახალი ენერგიით, კვლავ უკმარისობის გრძნობით გეგმეშავა ქალაქის ეკონომიური პოტენციალის ზრდის საქმეში ჩვენი წვლილის შესატანად.

**ხარისხისა

ერთხელ გურამ მგელაძემ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჰკითხა, გუშინ დამზადებას რამდენი სიმინდი ჩააბარეო.

— დაახლოებით სამოცი ტონა, ამხანაგო გურამ! — მიუგო თავმჯდომარემ.

— რას ჰქვია „დაახლოებით“! სასწორი მოიშალა, თუ საანგარიშო?! „დაახლოებ-მიახლოებით“ ვინც ლაპარაკობს, იგი შინ სავსე გოდორს ვერ მიიტანს.

„დაახლოებით“!..

არა, არ უყვარს გურამ მგელაძეს ეს თავდასაძვრენი, გულის დამაამებელი სიტყვა.

სიზუსტე — ყველგან და ყველაფერში!

სიტყვა უნდა გაანაღდო, პირობა უნდა შეასრულო, თორემ ცხოვრების ჩარხი ისე შეუმჩნევლად მოიშლება, მერე შენ თვითონ გაიზრცდები, ამ ძროხას რა ღმერთი გაუწყრა, რა ცოტას იწველებაო.

რაგინდ სწორიც უნდა იყოს შენი გადაწყვეტილება, რაგინდ სასარგებლოც უნდა იყოს შენი ნაფიქრალი, თუ ის დროულად არ განახორციელე, მერე შეიძლება ყველაფერს ძალა და ფასი გაუხანავრდეს, მეტადრე იმ რაიონში, სადაც სამოცაანმა წლებმა ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა დატოვა როგორც სამეურნეო დარგში, ისე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში.

ამიტომ არც ეს მეხვალიე ხალხი შეიწყნარა გურამ მგელაძემ, ამ კვირაში გასაკეთებელ საქმეს იმ კვირას რომ მიაბარებდნენ.

მხოლოდ შემოწმება, მხოლოდ ფხიზელი თვალი და ყური თუ ამოძირკავდა ამ მეტად საზიანო ჩვევებს.

შემოწმება არა როგორც საგანგებო „ერთთვიური“ ღონისძიება, ერთი მორიგი იერიში, ჰაი-ჰუის ამტეხი და მთელი ცხოვრების ამფორიაქებელი მოვლენა, არამედ როგორც წესი და ზომა შენი ყოველდღიური მუშაობისა.

ამ გზას დაადგნენ რაიკომის ბიუროს წევრები, გაიყოლიეს მოწინავე ადამიანები და ისეთი ზნეობრივი გარემო შექმნეს, რომ უდარდელი და უსაქმური კაცი გზაზე თავაწეული ვეღარ გაივლიდა.

აბაშელი გლეხები დღესაც ხუმრობენ: მგელაძეს თოხებით სავსე ერთი მანქანა უკან დაჰყვება — თუ ღმერთი გაგიწყრა და უსაქმოდ დაგინახა, აგერ თოხი და ეგერ უანგო.

არავითარ „წვრილმან“ ცოდვასა და ბრალს არ დაუხუჭა თვალი ახალმა ხელმძღვანელობამ. ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა ყოველგვარი რიდისა და პირფერობის გარეშე და ხალხის გული ამითაც მოიგო.

თუ კაცმა შეგატყო, რომ ხელში მართალი სასწორი გიჭირავს, უნდა თუ არ უნდა, მაინც კვალში ჩაგიდგება და გამოგყვება.

განა ტყუილად ამბობს ქართველი კაცი— სიმართლით მოკვეთილი მარჯვენა არ მეტკინებაო...

VIII.

ბრიგადის ანაზღაურების ახალმა წესმა და მართვა-გამგეობის ახალმა ყალიბმა ერთიმეორე შეავსო და აბაშურ ცდას და ჩანაფიქრს დიდი სიცოცხლე მისცა.

1970 წელს პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ სამას ჰექტარ მიწაზე ორმოცი ტონა სიმინდი მოიყვანა, — **სამასი ჰექტარი და ორმოცი ტონა!**

რაღად გინდოდა მიწის მოხვნა ან მერე ნათესის გამარგვლა და გამოროდება, ტყუილად მოგებენია თესლი მოუხნავ მიწაზე — ორმოცი ტონა ისეთიც თამამად მოვიდოდა ამოდენა ფართობზე. 1976 წელს კი იმავე კოლმეურნეობამ იმავე სამას ჰექტარზე ათას ასი ტონა სიმინდი მოიწია.

ხანდახან ჩვენ თვითონ გვიჭირს, ამ სტრიქონების ავტორებს, ჩვენივე ნაწერის დაჯერება — სად 40 და სად 1.100 ტონა! მაგრამ სასწორით აწონილს ღმერთიც ვეღარ შეედავება.

სახელმწიფოსაც ბევრი მიჰყიდეს და ოჯახშიც ბევრი მიიტანეს. ჩვენ დავთარში საგანგებოდ არ გვიძებნია მათი გვარები. აგერ კოლმეურნე დესიმ დუნდუა — ოთხი ტონა და შვიდასი კილო სიმინდი მიიღო ჯილდო-პრემიად. გრიგოლ შენგელიას ექვსი ტონა სიმინდი ერგო. ბენია კოპალეიშვილის ოჯახმა კი შვიდი ტონა სიმინდი ჩაყარა ნალიებში.

მაგრამ ყველაზე საოცარი ამბავი ჯერ კიდევ არ გვითქვამს. ერთ დროს ამ დამშეულმა კოლმეურნეობამ, შარშან, 1976 წლის იანვარ-თებერვალში, დიდძალი სიმინდი მიჰყიდა რუსეთის კოლმეურნეობებს და თავის ცხოვრებაში პირველად გვარიანი მოგებაც ნახა.

მოსავლის აღება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რომ გარე სამუშაოზე წასულმა გლეხებმა უკვე ჩამოაკითხეს აბაშას. სადღაც ყური მოეკრათ, აბაშის ჭალებში ისეთი სიმინდი წამოვიდა, შიგ უტუ მიქავას ცხენოსანი ჯარი დაიმალებაო.

კარგი მოსავლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედება ხოლმე ხალხს. გაქცეული აბაშელები ჯერ თითო-ოროლა ჩამოდიოდნენ ზანათსა თუ ონტოფოში, მაგრამ როდესაც გლეხებმა ყანა მოსტეხეს და ნალია ნალიას წააბეს — პრემიად მიღებულ სიმინდს მეტი განი და არე სჭირდებოდა — მაშინ კი შეუდგა ფორიაქი იმ ლტოლვილ ხალხს.

დაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 30, 31, 32

განა მარტო აბაშელები?

იმერეთის სოფლებიდანაც არა ერთი და ორი კაცი მოადგა აბაშას. საყანე მიწის გაბიროვნებას ითხოვდნენ. პრემიების ახალი ზომა და წყობა ჯადოსავით იზიდავდა შრომისმოყვარე ადამიანებს.

...იმ გაზაფხულზე სოფელ ზანათში მაღლაკელი გლეხები ჩამოვიდნენ. ათი კაცი იყო. იქაური ბრიგადირი შოთა კვერნაძე ჩამოუძღვა ამ ბიჭებს. ზანათის საბჭოთა მეურნეობას მუშახელი ძალიან უჭირდა, ჯერ კიდევ ყველა „ზანათელი ემიგრანტი“ არ დაბრუნებულიყო სოფელში; ამიტომ ათივე სტუმარს იმ დღესვე მიუჩინეს თითო ჰექტარი მიწა.

მაღლაკელებმა მაგრად იმუშავეს და შრომის ანაზღაურების ახალმა წესმა სამი-ოთხი ტონა სიმინდი შეახვედრა თვითეულ მათგანს. სიმინდი იქვე მიუწონეს, მეურნეობის მანქანებს დაუდეს და გახარებული ბიჭები შინისაკენ გაისტუმრეს.

გაისტუმრეს და შარსაც გადაეკიდნენ.

მაღლაკელები სოფელში ჩავიდნენ და ახლად მოტეხილი ტარო-სიმინდი ეზოში გაშალეს მზისგულზე გასაშრობად. ამოდენა სიმინდი რომ გამობრწყინდა აგერ ამ სახლის წინ, ეგერ იმ ღობის გადაღმა, მთელი სოფელი მიაწყდა თურმე ამ ბიჭების კარმიდამოს: საიდან და როგორაო!

—აბაშური წესითა და რიგითაო, — უთხრეს ბიჭებმა.

მაშინ გასწყრა თურმე მაღლაკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. დიდი საყვედური უთხრა ზანათელი გლეხების ხელმძღვანელს:

— ხალხი რას გადამირიე, შე დალოცვილო! ნაწილ-ნაწილ, ორჯერად, სამჯერად მიგეცა ეს სიმინდი, ზოშკაკალასავით ერთბაშად რომ დაგვაყარე თავზე!

ისევ გვიხმობენ ციფრები.

ხშირად მათი უბრალო შედარებაც კი ბევრად ფეროვან სურათს გვიხატავს, ვიდრე შალამნდაკრული ტალიკ-ტალიკი სიტყვები. მაგალითად, რა საჩინოდ ადასტურებს აბაშური ექსპერიმენტის გამარჯვებას ამ ციფრების შეტოლება:

1966 წელს აბაშის რაიონმა მოიყვანა 5,327 ტონა სიმინდი.

1967 წელს — 8 365 ტონა.

1968 წელს — 7 424 ტონა.

1971 წელს — 7 333 ტონა.

1972 წელს — 7 854 ტონა.

მაგრამ დადგა 1973 წელი — ნივთიერი წახალისების ახალი ხანა და ერთბაშად იქუხა მოსავალმა. ორჯერ მეტი სიმინდი, ორჯერ მეტი ეთერზეთების ნედლეული, ოთხჯერ მეტი ბოსტნეული!

რაიკომის ბიუროს წევრები თვითონ ადევნებდნენ თვალყურს, რომ პრემიები სრულად და უკლისად მიეღო კოლმეურნეს მოსავლის აღებისთანავე. ამ კეთილმა გულისხმიერებამ დიდი ფასი დაიდო გლეხის გულში და უფრო განამტკიცა მისი ნდობა ახალი ხელმძღვანელობისადმი.

სწორედ ამ ნდობის წყალობა იყო, რომ მომდევნო, 1974 წლის მოსავალი კიდევ უფრო პირსავსე იყო — მოიწიეს 15,640 ტონა სიმინდი.

ეთერზეთები — 3 958 ტონა,

ბოსტნეული — 2 415 ტონა, მაშინ როდესაც 1971 წელს მისი მოსავალი 317 ტონას არ აღემატებოდა.

— რამ ჩაუდგა სული ამ მიწას? — შეეკითხეთ სოციალისტური შრომის გმირს ელპიტე არველაძეს.

— რწმენამ, ბატონო, ყველაფერ საქმეს რწმენა აკეთებს. გურამ მგელაძეს არც ახალი ხალხი ჩამოუყვანია აბაშაში, არც ახალი მიწა ჩამოუტანია! ხალხიც იგივეა, მიწაც —იგივე, ახალი მხოლოდ ის არის, რომ აბაშაში ახლა შრომის ანაზღაურების ყველაზე მართალი სასწორი დგას.

მართალია, არც ხალხი ჩამოუყვანია, არც მიწა ჩამოუტანია, მაგრამ ახალმა ხელმძღვანელობამ აბაშის სოფლებში დააფუძნა რწმენა იმისა, რომ არ შეიძლება ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების გათიშვა და გაყოფა, როგორც ეს მანამდე ხდებოდა. ამ რწმენამ აპოვნინა აბაშელებს ის მართალი სასწორი.

1975 წლის ნაამაგარმა ყველა ვარაუდს გადაამეტა — მოტეხეს და შინ მიიტანეს 18,360 ტონა სიმინდი.

მაგრამ ყველა წელიწადს გვირგვინი დაადგა 1976 წელმა.

გახარებული კაცი კი გვინახავს, მაგრამ არ შეიძლება დაგავიწყდეს მგელაძის გაბრწყინებული თვალები, როცა მან ამ წლის მოსავლის ცნობა მაგიდაზე დაგვიდო — 20 000 ტონა!

ოცი ათასი!

შრომის ანაზღაურების ახალი წესის შემოღების დღიდან კი მხოლოდ ოთხი წელიწადი გავიდა.

აქ კი, როგორც ამბობენ, ბევრი ჩიჩინი და ახსნა-განმარტება საჭირო აღარ არის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლების მანძილზე სიმინდის ნათესების მთელი ფართობი არამც თუ არ გადიდებულა, არამედ საკმაოდ შემცირდა, შეცოტავდა და ის დაცლილი მიწა სხვა მცენარეებმა წაიღეს. ეს დიდი გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ საშუალო-საპექტარო ნაყოფიერების გადიდებას უნდა მიეწეროს. 1971 წელს იგი 12 ცენტნერ სიმინდს არ აღემატებოდა, ახლა კი, 1976 წელს, 40 ცენტნერს მიაღწია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ლევან სანიკიძე

□ □ □

სიმინდის მოსავლიანობის ასეთი სწრაფი მატება ჩვენ ჯერ საქართველოში არსად გაგვიგონია.

კიდევ ერთი გასაოცარი ამბავი: ამავე წელს აბაშელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 7 230 ტონა სიმინდი, ესე იგი, სწორედ იმდენი, რამდენიც ყოველწლიურად მოჰყავდა აბაშის რაიონის ყველა მეურნეობას 1973 წლამდე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დიდი გარდატეხის დღემდე სახელმწიფოს აბაშის რაიონში 1900 ტონაზე მეტი სიმინდი არასოდეს არ შეუსყიდია.

დიდად მოიმატა რეპანისა და ნემსწვერას გამოსავლამ. 1971 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს 2289 ტონა ეთერზეთების ნედლეული, ხოლო 1976 წელს — 6053 ტონა.

ესეც საჰექტარო ნაყოფიერების წყალობა იყო და არა მიწის ფართობის მომატებისა.

...ნამდვილად აზღვავდა ბოსტნეულის მოსავალი. თუ 1971 წელს აბაშელმა მებოსტნეებმა მხოლოდ 317 ტონა კომბოსტო, კიტრი, პამიდორი და ხახვი მოიწიეს, შარშან — 1976 წელს საარაკო ჭირნახული აიღეს — 6064 ტონა!

მრავალ ღირსებასთან ერთად, ციფრების ენას ერთი სისუსტეც მოსდგამს: თუ კარგად ყური არ დაუგდე, თუ თვითეულ ნიშანს ერთი-ორჯერ უკან არ მოუხედე და წონა არ გაუსინჯე, შეიძლება გვერდი ისე ჩაუპარო, რომ იალბუზიც ვეღარ დაინახო. ამიტომ ჩვენი თხოვნაა, მკითხველო, ამ მოჯარებულ ციფრებს რომ დაახედავ, თვალს ნუ ააჩქარებ, უგულისყურობ ნუ გადაურბენ...

IX.

ბოლა როდესაც ეს წიგნი იწერება, აბაშის ჭალა-მინდვრებში ერთმანეთს წაება და აღარ ილევა ოქტომბრის თბილი, მზიანი დღეები. ბუნება თითქოს სანუფქოს უხდის ადამიანს იმ დიდი გადაუღებელი წვიმების გამო, ზაფხულის პირზე რომ დაუშინა აბაშას და წვერნაკრავი სიმინდი მიწასთან გაასწორა. რამდენი ყანა მეორედ, ზოგჯერ მესამედაც კი დათესეს აბაშელმა გლეხებმა, წელებზე ფენი დაიდგეს და მიწა მაინც არ მოაცდინეს. ახლა ის დრო აღარ იყო, როდესაც შენი შრომა ანდეზე იყო შეგდებული, — შეიძლება იღბალს გაეჭრა და შეიძლება — აღარ...

ნამდვილი სასწაული მოახდინეს ტყვირელმა გლეხებმა. სამასი ჰექტარიც არ იქნება მათი საყანე მინდვრები, მაგრამ არც ქარწვიმას, არც წყალდიდობას ნათესი არ დაუჩაგვრინეს და შრომის ნაყოფიერების გაუგონარ მაჩვენებელს მიატანეს: ჰექტარზე საშუალოდ სამოცდაშვიდი ცენტნერი სიმინდი მოიწიეს... სულ — 1942 ტონა. ამ ზღვამოსავალს დახვედრა და დაბინავება არ უნდოდა? ვერ დააბინავეს — ვერ მოიცალეს, რომ ახალი ნალიები დაედგათ, ძველმა სათავსებმა კი ამოდენა ჭირნახული ვეღარ დაიტია; გასასვლელი ტალანებიც კი აღარსად დატოვეს, ისე პირთამდე გაძეძგეს ყველა კუთხე-კუნჭული. დრომორეულმა ნალიებმა ამ უსაშველო ტვირთს ვეღარ გაუძლო და იმ ღამეს კალოს ყარაული გაბმულმა ჭრიალ-ჭახანმა გამოაღვიძა. ჩაინგრა ყველაზე დიდი ნალია.

— ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა! — გვითხრა ერთმა ხნიერმა ქალმა, როცა მეორე დილას ამ ძირგავარდნილ ნალიას თავზე წავადექით.

— რა არის ბედნიერება?!

— აბა რა ჰქვია ამას, ბატონო! ქარისა და თოვლისაგან წაქცეული ნალია კი მინახავს, მარა თუ სიმინდი დაგვანგრევდა, ამას ვინ იფიქრებდა!

კალოზე ჭირნახული აღარ ეტევა. კრიალი გაუდის თეთრი და ყვითელი სიმინდის ხვავებს. კიდევ კარგი, კაცის წინდაუხედაობას ბუნება ასწორებს — წვიმას არ გზავნის, თორემ რა ეშველებოდა ამ უზღვავ მოსავალს!

მარტო ტყვირის კოლმეურნეობას კი არა, ახლა მთელი აბაშის რაიონს დაადგა თავს ეგ გაჭირვება — როგორმე წვიმების დაწყებამდე მიუჩინონ ადგილი ამოდენა სარჩო-საბადებელს.

შუადღე იქნებოდა, როდესაც კალოს სამი თუ ოთხი სატვირთო მანქანა მოადგა.

— პრემია-სიმინდის მისაღებად მოვიდნენ, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი თოფურიამ.

ჩვენც სწორედ ეს გვინდოდა — სიმინდის განაწილებაც გვენახა და ორიოდე სიტყვა გვეთქვა ერთმანეთისათვის.

პირველი მანქანიდან გადმოვიდა ჩასკვნილი, საშუალო ტანის კაცი. შოფერს რაღაც უთხრა და ისეთი ნელი ნაბიჯით გამოემართა ჩვენკენ, ეტყობოდა, ან ცალიან დაღლილი იყო, ან საერთოდ არსად არ ეჩქარებოდა.

ამ კაცის სახელი და გვარი — გივი პიტავა — ჩვენ მაშინ პირველად გავიგონეთ, მაგრამ დავიწყებით კი დიდხანს არ დაგვავიწყდება. მისი შრომის ნაყოფმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, თუ რა ძალა ჰქონია ნივთიერ დაინტერესებას.

ძველად გივი პიტავას ერთი ჰექტარი ყანა წელიწადში თორმეტ ცენტნერ სიმინდს თუ გამოიღებდა, ერთხელ კი ოცდახუთი ცენტნერი მოიწია და მთელი სოფლის სალაპარაკო გახდა — ალბათ იმ წვიმა-წუმპეში ყანა ანგელოზებმა გაუთოხნესო. ახლა კი, ამ ფერისცვალების წელიწადს ივივე ერთი ჰექტარი მიწა გივი პიტავამ ისე დააუშავა და გაკეთა, რომ საქართველოს ყველაზე განთქმული მესიმინდეებიც კი უკან ჩამოიტოვა — ას ოცდაათი ცენტნერი სიმინდი მიიტანა კოლმეურნეობის კალოზე.

ერთი ჰექტარი და ას ოცდაათი ცენტნერი!

ამიტომ არ დაგვავიწყდება გივი პიტავას სახელი.

ოთხი გზობა დასჭირდა იმ დღეს სატვირთო მანქანას, რომ გივი პიტავას თავისი წილხვედრი მოსავალი — შვიდნახევარი ტონა სიმინდი ოჯახში მიეტანა.

ერთი კაცის ბარობაზე ეს უკვე დიდი მონაპოვარი იყო. ახლა ამას დაუმატე, მკითხველო, ხელფასი — თვეში ასი მანეთი, დაუმატე ოჯახის დანარჩენი წევრების არცთუ ურიგო შემოსავალი...

ასეთი დაფასებული შრომა მიწას არასდროს არ უღალატებს.

მეორე მანქანა ილია მიგინეიშვილს უცდიდა. შუახანს გადაცილებული ჭარმაგი გლეხი კოლმეურნეობის დაარსების პირველი დღიდანვე აბაშურ სიმინდს დაჭკანკალებდა.

— მიწას, ბატონო, რამდენსაც მოსთხოვ, იმდენს მოგცემს, ოღონდ იმის დაძახებას კი არ უნდა მოუცადო, ახლა დამთესე და ახლა გამთოხნეო! შენ თვითონ უნდა იცოდე, როდის რა შეერგება, — გვითხრა ილია მიგინეიშვილმა.

სწორედ ამ ცოდნის ნასიკეთარი იყო, რომ მიგინეიშვილს ძველადაც, ყოველ წელიწადს, ღონეური სიმინდი ედგა ყანაში, მაგრამ მისი ცოდნა და გამოცდილება იმ ყანას არ გასცილებია. პრემიალური განრიგების უქონლობამ არ გაახარა ცოცხალი აზრი.

და მხოლოდ იმ დაუვიწყარი 1973 წლიდან გამოუჩნდენ მიმდევრები ილია მიგინეიშვილს. მათ შორის — ტყვირელმა კოლმეურნემ შოთა გალდავამ ყველაზე მეტად ისახელა თავი. გასულ წელს მისმა ერთმა ჰექტარმა ყანამ ას თექვსმეტი ცენტნერი თეთრი აჯამეთური სიმინდი შემატა კოლმეურნეობის ბეღელს.

სულო ცოდვილო, ერთი გაკვირვების ნიშანი აქაც არ აწყენდა ამ ზემორე სტრიქონს, მაგრამ წინ კიდევ ბევრი გაკვირვება მოგველის...

შოთა გალდავას წლევანდელმა შემოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: პრემია-სიმინდი — ხუთნახევარი ტონა; გამომუშავებულ კაცდღეებზე — ერთი ტონა სიმინდი; ეთერზეთების პრემია — ექვსასი მანეთი, ხელფასი — თვეში ოთხმოცი მანეთი.

ეს მოწაფის დოვლათი იყო. თვითონ მასწავლებელმა კი ერთ ჰექტარზე ას ოცი ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ეთერზეთოვან მცენარეებსაც კარგად მოუარა და შრომის საზღაურად (ხელფასი და ფულადი ჯილდო რომ აღარ ვიანგარიშოთ) მარტო სიმინდი — შვიდი ტონა მიიღო.

საპატიო დაფები ვეღარ იტევს ასეთი მასწავლებლებისა და მოწაფეების ფოტოსურათებსა და გვარ-სახელს.

როგორც ჩაის და ციტრუსების ბაღებმა მოაღონიერა და გაამდიდრა ქართული სოფელი, თურმე ასეთივე ღონე ჰქონია სიმინდსაც, თუ ამ მინდვრის დედოფალს სათუთად მოუვლი და მოეფერები, როგორც დედოფალს ეკადრება.

საპატიო დაფებს რომ ვათვალიერებდით, უეცრად ერთი კითხვა დაგვებადა: რამდენმა კაცმა ვერ შეასრულა შარშან სიმინდის გეგმა აბაშის რაიონში...

გამოირკვა, რომ აბაშის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მხოლოდ და მხოლოდ ოცდარვა კაცს ვერ გეტანა კვალი ბოლომდე. ზოგს ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, ზოგს — უამინდობამ, ზოგიერთს კი დღემდე გამოჰყვა ძველი სიზარმაცის სანაგადი და ისინი ჯერხანად გურამ მგელაძის წამალმაც ვერ მოარჯულა.

საგულისხმო ამბავი ის არის, რომ დღეს აბაშას დაახლოებით იმდენი ჩამორჩენილი მესიმინდე კაცი ჰყავს, რამდენიც ამ რაიონს მოწინავე კოლმეურნე ჰყავდა წარსულ წლებში.

თუ ამ ნათქვამს კარგად ჩავუფიქრდებით, მაშინვე დავინახავთ, რა დიდი ნაპრალი გაჩენილა ძველსა და ახალ დღეებს შორის.

ახალმა ცხოვრებამ მთლიანად გარდაქმნა აბაშის რაიონი, და არა მარტო მამაკაცის გარჯას მისცა დიდი ასპარეზი, არამედ ქალის შრომაც გამოაცოცხლა და გამობრწყინა. ახლა აბაშის სოფლებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდები კოლმეურნე ქალს, სამაგალითო მოსავალი რომ მოიწია და საქვეყნოდ სახელი გაითქვა.

სოფელ გაუწყინარში ცხოვრობს ერთი პატრიარქი, შავგვრემანი ქალი ნაზი გრიგოლია, ისეთი ხალისიანი, ენადაუშრობელი მოსაუბრეა, თითქოს ამ ქვეყანაზე სიხარულისა და სიკეთის მეტი არაფერი უნახავსო. არ უყვარს ნაზის იმ დღეების გახსენება, როდესაც გაზაფხულზე მისი სოფლის მინდვრებს სათესლე სიმინდი ენატრებოდა, ან კიდევ ნამაისებს ღომის ქვაბში სუთის ბრაგუნი რომ შეწყდებოდა.

შარშან ნაზი გრიგოლიამ ერთი ჰექტარი მიწა გაიპიროვნა და შემოდგომაზე 85 ცენტნერი სიმინდი მოტეხა. (გეგმა — 25 ცენტნერი).

ეთერზეთებსაც რიგიანად უპატრონა და 25 ტონა ნედლეული მიიღო. (გეგმა — 5 ტონა იყო).

კიტრი მოკრიფა 10 ტონა. (გეგმა — 2,5 ტონა). როგორ აუვიდა ეს ერთი ქალი ამდენ სამუშაოს! წელს აბაშას არ დაჰკლებია წვიმა და სიცხე...

— ჩვენში, ბატონო, იმისთანა გრილი და ჯაჯაჩია მთვარიანი ღამეები იცის, რომ თოხი თვითონ გეხვეწება, წამომყევი ქალო, ყანაშიო! — ღიმილით გვითხრა ნაზიმ.

— პრემია-სიმინდი რამდენი შეგხვდა?

— ოთხი ტონა.

— ფული?

— ორი ათას ექვსას ოცი მანეთი.

— ხელფასის გარდა?

— ხელფასის გარდა.

— ქმარ-შვილმა თუ შეგაშველა ხელი, ქალბატონო ნაზი?

— შვილი ჯარში მყავს. ინჟინერია. ქმარს კი თავისი ნაკვეთი აქვს გაპიროვნებული. მართალია, ამ წელიწადს ვერ მაჯობა, მარა სამოცდაათი ცენტნერი სიმინდი მანაც დააყარა სასწორს.

ცოტა ხანს იყუჩა და გულღიად დაუმატა:

— ჩემზე მეტი ვენერა ჯოჯუამ მოიწია. მასაც ერთი ჰექტარი ჰქონდა, მარა ძალიან მონდომებული ქალია! ოთხმოცდაათი ცენტნერი სიმინდი დაადახებინა ყანას!

— აბა თქვენი ყოფილა ეს ქვეყანა და ღმერთმა მოგახმაროთ!

— ვინც მუშაობს, ბატონო, ქვეყანაც მისი არის და ზეყანაც! — ეს უკვე ღიმილის გარეშე გვითხრა ნაზი გრიგოლიამ, და უცბად გვაგრძნობინა, რამდენი ზრუნვა და წვა-დავა სჭირდებოდა ყველაფერს, რასაც სიტყვა ასე ადვილად ჩამოთვლიდა, ღიმილ-ღიმილში.

ზღაპრულად მომრავლდნენ აბაშის სოფლებში ასეთი საკვირველი გმირი ქალები, უხვად რომ გადააჭარბეს ყოველგვარ გეგმას და ვალდებულებას. ამ დიდებულ საქალეთს არა ერთი და ორი ათეული სახელი ამშვენებს: მარგო გუგუშვილი, ვენერა სოლომონია, ტატიანა კუპრეიშვილი, ზინა გუგუშვილი, შურა ხელია, ლოლა გალდავა, გოგოლა გალდავა, ნათელა ცომაია, ვალია მარღანია, ლირა ქეკელიძე, ქსენია გვაძაბია, ლიდა ჩაგანავა, ნერი ლიპარტიანი, მარო თელია, სულიკო თელია, დარეჯან შათირიშვილი, გაგული რატიანი, ზინა ბარათელია, მერი მიგინეიშვილი, თამარ ბოკუჩავა, ციალა ჩოჩია, და კიდევ მრავალი სასახელო ქალი, საკუთარ ოჯახსაც რომ უპატრონეს და საზოგადო საქმესაც ხელი არ დაუკლეს. არცერთ მათგანს 67 ცენტნერზე ნაკლები სიმინდი არ ჩაუწერია პირად ბარათში.

კარლო გრიგოლია (მარცხნიდან მეორე) თავის გამოცდილებას უზიარებს გაგრელ მეგოსტნეებს.

(გაგრძელება იქნება).



„სოიუზ-24“: სჯარჯი გიცემულია

სტარტამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენ ვარსკვლავღლეთა ქალაქში ვესაუბრეთ „სოიუზ-24“-ის ეკიპაჟის მეთაურს ვიქტორ გორბატკოს და ბორტინჟინერს იური გლაზკოვს. ეკიპაჟი დილის სეირნობიდან ბრუნდებოდა. უკან დარჩათ უკანასკნელი ჩათვლები, რომლებმაც მორიგი კოსმოსური სტარტის მრავალი თვის სამზადისი დაგვირგვინეს. ასობით საათი გაატარეს ტრენაჟერებზე და სასწავლო თვითმფრინავების კაბინებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში და ბორტინჟინერს იური გლაზკოვს. ეკიპაჟი დილის სეირნობიდან ბრუნდებოდა. უკან დარჩათ უკანასკნელი ჩათვლები, რომლებმაც მორიგი კოსმოსური სტარტის მრავალი თვის სამზადისი დაგვირგვინეს. ასობით საათი გაატარეს ტრენაჟერებზე და სასწავლო თვითმფრინავების კაბინებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში და ბორტინჟინერს იური გლაზკოვს. ეკიპაჟი დილის სეირნობიდან ბრუნდებოდა. უკან დარჩათ უკანასკნელი ჩათვლები, რომლებმაც მორიგი კოსმოსური სტარტის მრავალ

ვინეს. ასობით საათი გაატარეს ტრენაჟერებზე და სასწავლო თვითმფრინავების კაბინებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში და ბორტინჟინერს იური გლაზკოვს. ეკიპაჟი დილის სეირნობიდან ბრუნ

ლეს. ხშირად იტყოდა ხოლმე, საბჭოთა ადამიანისათვის უდიდესი ბედნიერებაა თვლიდეს თავს დიადი ქვეყნის — ოქტომბრის რევოლუციის საშობლოს მამულიშვილად.

იური გაგარინის შემდეგ გაფრენილ 37-ვე კოსმონავტს მიაქონდა თან ეს „ოქტომბრის მუხტი“, ამისდა მიუხედავად, თუ სად დაიწყო მათი შრომითი ბიოგრაფია, სმოლენსკის მიწაზე თუ ციმბირის სივრცეებში, სახელოსნო სასწავლებლის ჩარხთან თუ სასწავლო თვითმფრინავის საჭესთან. — სწორეს ბრძანება ჩემი მეთაური, — შემოგვიერთდა იური გლაზკოვი. — რა საქმესაც უნდა ასრულებდე, მთავარია გესმოდეს, რომ შენი საქმე შენი ხალხის საქმეა.

საყოველთაო-სახალხო საქმით აღფრთოვანება, უნარი მოიკრიბო მთელი ძალ-ღონე მისი განხორციელებისათვის, — ასეთია ხომალდ „სოიუზ-24“-ის ეკიპაჟის აზრით, საბჭოური ხასიათის მთავარი ნიშან-თვისება. განა მისმა ძლიერებამ, მილიონობით გულის მგზნებარებამ არ შვა მოძღვრება და საზოგადოება, რომლებიც თანმდროვეობის ყველაზე პროგრესულ და გავლენიან ძალად იქცნენ, როგორც ეს ნათქვამია „საკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

ვიქტორ გორბატკო კოსმოსში ახალბედა როდია. შვიდ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი ანატოლი ფილიპჩენკოსთან და ვლადისლავ ვოლკოვთან ერთად გაფრინდა „სოიუზ-7“-ით სამი „სოიუზის“ ჯგუფურ ფრენაში მონაწილეობისათვის. მონაწილეობას იღებდა პილოტირებული პროგრამებისათვის მზადებაში, უძღვებოდა ახალგაზრდა კოსმონავტთა სასწავლო კლასებს, შრომობდა ფრენის მართვის ცენტრში, კონსულტაციებს უწევდა ხომალდებისა და ორბიტული სადგურების ეკიპაჟებს.

— როდის იშვა თქვენი ეკიპაჟი?

— თუ დოკუმენტებს ჩავნიშნავთ, ორწლინახევრის წინათ. ფაქტიურად კი გაცილებით უფრო ადრე. იური გლაზკოვს დიდი ხანია ვიცნობ — საუცხოო ინჟინერი და შესანიშნავი ამხანაგია. ხუთი წლის წინ ჩვენ სასწავლო გრაფიკმა ერთ საწვრთნელ ჯგუფში შეგვყარა. კარგად რომ გავიცანი, ვიფიქრე, კარგი იქნება, თუ მასთან ერთად მომიწია-მეთქი ფრენამ. ფრენისათვის რომ ვემზადებოდით, იურომ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ღია კოსმოსში კოსმონავტის მოქმედების პრობლემებზე. გამარჯვება, თავმდაბლობა, — აი „სოიუზ-24“-ის ბორტინჟინრის დამახასიათებელი თვისებები.

მის ცხოვრებაში ბევრი რამ არის დაკავშირებული დედაქალაქთან. აქ სწავლობდა იგი პროლეტართა რაიონის 623-ე სკოლაში, მოგვიანებით კი მოსკოვის მეორე მოსამზადებელ საარტილერიო სასწავლებელში. მგრე იური, იძულებული გახდა დეტოვებინა მოსკოვი, რათა სტავროპოლის სუგორიელთა სახმდერო სასწავლებელში შესულიყო. მაგრამ მისი დამთავრების შემდეგაც განგრძო სწავლა — ამჯერად უკვე ხარკოვის უმაღლეს საავიაციო-საინჟინრო სამხედრო სასწავლებელში. ინჟინრის სპეციალობის მიღებიდან სამი წლის შემდეგ კი იური გლაზკოვი კოსმონავტთა რაზმში ჩაირიცხა.

როცა შვიდი წლის წინ ვიქტორ გორბატკო პირველად მუშაობდა ორბიტაზე, გლაზკოვი დედამიწაზე იდგა თავის განკუთვნილ ადგილზე. შაშინ იგი ოდენ ერთ-ერთი საზომი პუნქტის ოპერატორი იყო. ვინ იცის, შეიძლება სწორედ მაშინ ჩაეთქვა ხატრა, რომელიც 1977 წლის თებერვლის დასრულებ დღეს აუხდა.

კოსმოდრომზე შებინდდა. დათოვლილ ველზე შემაღლებულ ბეტონზე ყველაფერი მზად არის ეკიპაჟის მისაღებად. სასტარტო მოედანზე ცაში ასაჭრელად გამზადებული რაკეტა გარინდულა. საკომანდო პუნქტის ქრონომეტრები უკანასკნელ სტარტისწინა წუთებს ითვლიან.

და აი, პროექტორებმა ღამის წყვდიადში ავტობუსიდან გამომავალი ორი ფიგურა გამოაჩინეს. მეთაური პატაკს აბარებს, რომ ეკიპაჟი მზად არის ფრენისათვის. წუთიც, და კოსმონავტები უკვე „სასტარტო ხარაჩოების“ ზედა ბაქანზე არიან.

გავიდა ორი საათი და ტელესკოპის ოკულარებს აკრეფთ უკანასკნელი, სტარტისწინა ბრძანებები მოგვესმა.

არემარე კაშაში ცეცხლმა გაანათა. გეგონებოდა, მზე ამოდიოდა. ეს მართლაც მზის ამოსვლა იყო — იწყებოდა კოსმოსში მუშაობის კიდევ ერთი დღე, სტარტი მიეცა საბჭოთის საიუბილეო წლის პირველ პილოტირებულ ფრენას.

ნ. ჟელეზნოვი,
საკდესის სპეც. კორ.
ვარსკვლავეთა ქალაქი — ბაიკონურის კოსმოდრომი.

ფეიგბურთი

გამარჯვებით დაინყეს...

„დინამო“ (თბილისი)—„ოლიმპია“ (ლიუბლიანა, იუგოსლავია) — 5:0 (3:0).

8 თებერვალი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი მ. მიქინოშვილი (თბილისი).

„დინამო“ — გაბელია (გოგია), ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი (ბილაია), კოსტავა, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (გ. მაჩაიძე), გუცაევი (წერეთელი), ყიფიანი, შენგელია.

„ოლიმპია“ — დალანოვიჩი, ბრაცანოვიჩი, ხაზანტინი (ვარიეკ), კლაძეფერი, დოგანჯიჩი, სამატოვიჩი, კომლიეხოვიჩი (ამერშეკ), ოოვიჩევიჩი, კოუელი, გრუბორი, როეიჩი.

თოვლიანობა ამინდმა, სველმა, ძმიმე გრუნტმა ერთნაირად ყაუჩდინა ხასიათი მაყურებლებსაც და ფეხბურთელებსაც. ბურთი ძნელად ემორჩილებოდა მოთამაშეებს და ელფერს უკარგავდა ბატჩს. და მაიხც, გულმოდგინეობა ეფექტურად უკანასკნელ წუთებამდე იხტერესით ადევნებდნენ ასპარეზობას თვალს.

პირველი ბურთი სტუმართა კარში შორიდან მე-5 წუთზე გუცაევმა გაიტანა. ამის შემდეგ მეკარის პირისპირ გასულმა ქენგელიამ დაკარგა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ მანვე 30-ე წუთზე ოუგოსლავიელთა საჯარიმოში სტუმართა ცენტრალურ მცველ ხახანტინისთან ბრძოლაში გამოასწორა თავისი შეცდომა და გაზარდა ანგარიში — 2:0.

შესვენებამდე (მე-40 წუთზე), დინამოელებმა მესამედ მიაღწიეს წარმატებას — ყიფიანმა თავური დარტყმით ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში.

მეორე ტაიმში თავი გამოიჩინა დარასელიამ, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა „ოლიმპიას“ კარში (53-ე და 85-ე წუთებზე). 5:0 — თბილისის „დინამომ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ბატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ცნეს ბრაცანოვიჩი („ოლიმპია“) და შენგელია („დინამო“).

ა0 რა გვითხრეს მატჩის შემდეგ თბილისში ჩამოსულმა იუგოსლავიელმა ჟურნალისტებმა:

დუშან პეტროვიჩი. („სპორტი“, ბელგრადი) — ასეთი ამინდისათვის თამაში საკმაოდ კარგი იყო. „დინამო“ ტექნიკური, სწრაფი, კომბინაციური გუნდია, კარგად იყენებს საგოლე მომენტებს.

ფრანც ბოშიჩი („დელო“, ლიუბლიანა) — თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი ავტორიტეტული გუნდია ევროპაში — იგი თამაშის სტილით მაგონებს კიევის „დინამოსაც“ და ამსტერდამის „აიაქსსაც“. ძალიან მომეწონა ყიფიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, დარასელია.

მარიკ ვონჩინა („დნევნიკ“, ლიუბლიანა) — „ოლიმპიასათვის“ ეს, ცხადია, საუკეთესო თამაში არ იყო. სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს მას გამოაკლდა ოთხი წამყვანი ფეხბურთელი, რომლებიც საზღვარგარეთის კლუბებში გადავიდნენ. დღეს საასპარეზოდ ვერ გამოვიდნენ ჩვენი ტრავმირებული თავდამსხმელები რადე რადულოვიჩი და ვუკოდინ ვალოვიჩი. მაგრამ თქვენი „დინამო“, დარწმუნებული ვარ, ამ „კორექტივებითაც“ მოგვიგებდა ასპარეზობას.

ო. ნოზაძე.

თხილამურები

სწრაფი წამები

ბაკურიანი, 8 თებერვალი. (საქინფორმის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოთხილამურე ქალები ერთძანეთს ეცილებოდნენ სსრ კავშირის თასს. შეჯიბრება მიმდინარეობდა სპრინტერულ ხუთკილომეტრიან დისტანციაზე.

ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად წარმმართა გალინა კულაკოვასა და ქვეყნის ნაკრებ გუნდში მის მეგობარს, ოლიმპიურ ჩემპიონ სვეტლოვსკელ ზინაიდა ამოსოვას შორის. ნახევარი დისტანციია უფრო სწრაფად გაიარა სვეტლოვსკელმა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეიხარჩუნა.

კულაკოვას დროა 16 წუთი და 26,2 წამი. ამოსოვამ აჩვენა — 16.30,4.

მოთხილამურეებმა დისტანცია დაამთავრეს სროლის ხმაზე: სასროლეთზე ვარჯიშობდნენ ბიატლონისტები. დღეს მათ შეჯიბრება ჰქონდათ ორმაგი ანგარიშით ოთხ ეტაპზე. ბოლო ეტაპზე ზაიჩიკინა დაამარცხა აგზამოვი, პეტერსპკინი და ვლადიმეროვი, ყაიმზე შეუთანხმდა ჩეხოვს. სტურუამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ვლადიმეროვთან და ჩეხოვთან. დანარჩენი ტურების პარტიები ჩვენს მოკადრაკეებს დადადებული აქვთ. ტურნირს 5,5 (1) ქულით ლიდერობს კიეველი გოფმტეინი.

ფიდე-ს გადაწყვეტილებით

ფიდე-ს პრეზიდენტმა, პროფესორმა მაქს ეივემ გადაწყვეტილება მიიღო ტატიანა ლემაჩკოსა (ბულგარეთი) და ალექსანდრა ვანდერ მიეე-ნიკოლაუს (ჰოლანდია) შორის ექვსი პარტიისგან შემდგარი დამატებითი მატჩი დაიწყოს 17 თებერვალს, ამსტერდამში.

როგორც ცნობილია, ამ მოჭადრაკეებმა მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს როზენდალის (ჰოლანდია) საზონთაშორისო ტურნირში. მატჩში გამარჯვებული ცხადდება მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად და აპრილის მეორე ნახევრიდან ჩაებმება ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრის უფლებისათვის მაძიებელთა ასპარეზობაში.

მოკლედ

კალათბურთი. გუშინ მინსკში გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ რტი-სა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. დამაბულ ბრძოლაში ერთი ქულის სხვაობით — 72:71 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ჭიკვი. საკავშირო ჩემპიონატზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა გაიმაშვილის ლიდერმა ცსკა-მ. ანგარიშით 6:3 მან დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“. გუშინ ლუჟნიკის ყინულზე ასპარეზობდნენ დ.დამკალაქის „დინამო“ და „კრილია სოვეტოვი“. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვა „დინამომ“.

ცურვა. ჰოლანდიის ქალაქ ამერსფორტის 50-მეტრიან აუზში გაიმართა დიდი საერთაშორისო ასპარეზობა, რომელშიც 24 ქვეყნის 150 სპორტსმენი მონაწილეობდა. საბჭოთა სპორტსმენებიდან თავი ისახელეს 12 წლის ლენინგრადელმა მოსწავლემ იულია ბოგდანოვამ, რომელმაც ბრასის სტილით 100 მეტრზე გაცურავში პირველი ადგილი მოიპოვა (1.14,20) და გამოცდილმა ვლადიმერ ბერეგ — 100 მეტრი თავისუფალი სტილით — 53,8 წამი.

წყალში ხტომა. დინამოელი სპორტსმენების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა სტავროპოლში გუნდური შეჯიბრება წყალში ხტომაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. მეორე ადგილზეა „სპარტაკის“, მესამეზე — „ტრუდის“ სპორტსმენები.

ბადრაკი. ახალგაზრდა ოსტატების ალმა-ათის ტურნირზე გათამაშდა ცხრა ტური. ტურნირში მონაწილე თბილისელი მოჭადრაკეების ზაიჩიკინასა და სტურუას შედეგები ასეთია. ბოლო ტურებში ზაიჩიკინა დაამარცხა აგზამოვი, პეტერსპკინი და ვლადიმეროვი, ყაიმზე შეუთანხმდა ჩეხოვს. სტურუამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ვლადიმეროვთან და ჩეხოვთან. დანარჩენი ტურების პარტიები ჩვენს მოჭადრაკეებს დადადებული აქვთ. ტურნირს 5,5 (1) ქულით ლიდერობს კიეველი გოფმტეინი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

გიორგი

ქსოფლიოს აქიჭი

ფაქტები • პრობლემები

ახლო აღმოსავლეთის — ეტაპიცე მშვიდობა

კ. ვალდჰაიმი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს

ბეირუთი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს, ბეირუთში ჩამოვიდა.** აქამდე იგი იყო ეგვიპტეში, სუდის არაბეთსა და სირიაში.

კ. ვალდჰაიმი აქ კონსულტაციებს გამართავს ახლო აღმოსავლეთში იხლანდელი მდგომარეობის და ლიბანში შექმნილი სიტუაციის შემდგომი ნორმალიზაციის გზების შესახებ.

დამასკო. (საკდესი). კ. ვალდჰაიმთან გამართული მოლაპარაკების დროს სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულ ჰალიმ ჰაددამმა თქვა, რომ ახლო აღმოსავლეთის სახავო კონფერენციის მოწვევა საჭიროა არაუგვიანეს ამა წლის მარტის დამლევს, როგორც ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციითაც არის გათვალისწინებული. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეზოლუცია უნდა შესრულდეს და რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია კონფერენციის დაწყებიდანვე თანასწორი უფლებით უნდა მონაწილეობდეს მის მუშაობაში.

როგორც აქაური პრესა აღნიშნავს, სირია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მიღწეულ იქნეს საყოველთაო მოწესრიგება მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენის საფუძველზე.

დამასკოში კ. ვალდჰაიმი შეხვდა აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარეს ი. არაფატს, შეხვედრის დროს ი. არაფატმა ჩამოაყალიბა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოზიცია ჟენევის საზავო კონფერენციის საკითხში.

ისილაევი ადამიანის უფლებებს

გაიხსნა ადამიანის უფლებათა კომისიის სესია

ჟენევა. (საკდესი). აქ ერთა სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის 33-ე სესია. მის შემადგენლობაში არიან 32 სახელმწიფოს, მათ შორის სსრ კავშირის, ბელორუსიის სსრ, ბულგარეთის, კუბის, იუგოსლავიის წარმომადგენლები, სესიაში მონაწილეობენ აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქვეყნების მეთვალყურეები.

სესიის ყურადღების ცენტრშია ჩილეში, ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფრიკის სამხრეთ ნაწილში ადამიანის უფლებათა მასობრივი და უხეში დარღვევის ფაქტების განხილვა.

კომისია განიხილავს აგრეთვე იმ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელების საკითხს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

რასისტთა ახალი დანაშაული

რასისტები — სამარცხვინო ბოძზე!

ლუსაკა. (საკდესი). **ხაზარელი დანაშაული ჩაიდინეს საგანგებო დანიშნულების რაზმების „სელუს სკაუტსის“ წევრმა არამზადებმა, რომლებიც სმიტის რეჟიმმა გაიერთიანა ზიმბაბვეს თავისუფლებისათვის მებრძოლთა დისკრედიტაციის მიზნით. ბანდიტებმა ღამის სიბნელით ისარგებლეს და შეცვივდნენ მუსამის კათოლიკური ძისიის შენობაში (სოლსბერიდან 60 კილომეტრზე), სადაც ჭერ პარტიზანებად გასახლეს თავი, მერე კი 7 ბღვდელი მოკლეს.**

სოლსბერის მესვეურთა ჩანაფიქრით, ამგვარი ტკვლეულობები ცხადყოფენ ზიმბაბვეს დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის „ტერორისტულ“ ხასიათს. ასეთ რბევა-დაწიოკებას იყენებენ აგრეთვე იმ თეორანიან მოქალაქეთა ლიკვიდაციისათვის, რომლებიც თანხუგრძნობენ აფრიკელთა განმათავისუფლებელ ბრძოლას რასისტული უმცირესობის რეჟიმის წინააღმდეგ. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, მათ შორის მუსამის ძისიის წევრებსაც, არაერთგზის დაუგმიათ საჯაროდ როდეზიაში მოქმედი რასისტული წესები.

1976 წლის დეკემბერში კათოლიკე მისიონერთა ჯგუფის ანალოგიურ ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით ზიმბაბვეს პატრიოტულ ფრონტის ლიდერებმა ჯ. ნკომომ და რ. მუგაბემ გააკეთეს განცხადება, რომელშიც სამარცხვინო ბოძზე გააკრეს რასისტები, ბინძური ხელხლებით რომ ცდილობენ ირიქი მოსცხონ თავიანთ ფეხებისათვის მებრძოლთ.

კრესა ადასტურებს

იარაღით მოვაჭრენი

ისრაელი აგრესორები იარაღს აწვდიან სამხრეთაფრიკელ რასისტებს

სან-ფრანცისკო. (საკდესი). ტელ-ავივი იარაღის დიდი ვაჭარი ხდება მსოფლიოს ბევრ რაიონში.

როგორც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ წერს, ისრაელის საბრძოლო ტექნიკის ერთ-ერთი მთავარი მუშტარი გახდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი. ამჟამად ისრაელს 100 მილიონი დოლარის შეკვეთები აქვს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისაგან. ტელ-ავივი, რომელსაც პრეტორიახე ნაკლებად არ კიცხავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამ ვაჭრობას ფარულად ეწევა. იმ იარაღის ხესხში, რომელსაც ისრაელი აგრესორები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებს აწვდიან, არის ავიაგამანადგურებლები, რაკეტები, სარაკეტო კატაოღები, ცეცხლსასროლი და სხვა იარაღი.

„ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ისრაელი იარაღის ვაჭრები ცდილობენ მსოფლიოს სხვა რაიონებშიც, კერძოდ ლათინურ ამერიკაშიც გაიკვალონ გზა სამხრეთ ბაზრებზე. შარშან ისრაელმა 500 მილიონი დოლარის იარაღი გაიტანა და იმედი აქვს, რომ წელს სამხედრო ტექნიკის მიწოდების შედეგად მილიარდ დოლარს მიიღებს.

როგორც გაზეთი წერს, ისრაელის დიდ მიმწოდებლად ისრაელის გადაქცევას ხელი შეუწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც განუწყვეტლივ უწევს ტელ-ავივს დიდ სამხედრო და ეკონომიურ მხარდაჭერას.

კოსმოსური გამოფენა

„საბჭოთა კავშირის კოსმოსური ხელოვნება“ ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი. (საკდესი). შორს მისწრაფვიან კოსმოსური რაკეტები, მოჩანს უცნობი პლანეტების ფასტასტიკური შეიზაკები, იური გაგარინის სახე — ყველა ამ სურათს ნახავთ ახლა ნიუ-იორკის პლანეტარიუმის „ჰეიდენის“ დარბაზებში. აქ გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა კავშირის კოსმოსური ხელოვნება“.

4ი-ზე მეტი ნამუშევარი საბჭოთა ხელოვნების ოსტატებისა, რომლებიც დასპეციალებული არიან კოსმოსურ-ფანტასტიკურ და რეალურ თემებზე, წარმოდგენილია ექსპოზიციაში, რომელიც ამერიკის ძველთაგულ შტატებში მოეწყო სმიტსონის ინსტიტუტის ეგიდით. მრავალრიცხოვან დამთვალიერებელთა მთავარ ინტერესს იწვევს კოსმონავტი მხატვრის ალექსი ლეონოვის სურათები. დიდხანს ჩერდებიან დამთვალიერებლები მის ტილოებთან „განთიადი ორბიტაზე“, „დედამიწის ციისფერი სარტყელი“, აგრეთვე ანატოლი იაკუშინის მიერ შესრულებულ ციოლკოვსკისა და გაგარინის პორტრეტებთან.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ამერიკელებზე ანდრეი სოკოლოვის, იური პოხოდაევის, ვიქტორ კარპოვის ნაწარმოებები, რომლებიც „სოიუზ“ და „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდების ერთობლივ ფრენას ეძღვნება.

გამოფენა „საბჭოთა კავშირის კოსმოსური ხელოვნება“ უკვე ექსპონირებული იყო ვაშინგტონში ავიაციისა და კოსმონავტიკის ახალ მუზეუმში. ნიუ-იორკის შემდეგ მას გაეცნობიან ჩიკაგოს, სან-ფრანცისკოს, ოკლაჰომა-სიტისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი.

კაპიტალის ქვეყნებში

უმუშევართა არმია იზრდება

ბონი. დასავლეთ ევროპის უპირველესი ბრძოლემა უწოდა მასობრივ უმუშევრობას ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამმაინი ფრიების გაზეთმა „ანდელსბლატმ“. შარშან, წერს გაზეთი, უმუშევართა რიცხვი „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში კვლავ იზრდებოდა და უზარმაზარ ციფრს — 5,2 მილიონს მიაღწია.

უმუშევართა ამ არმიის შემცირების ყოველგვარი ცდა უნაყოფო აღმოჩნდა.

მადრიდი. ამჟამად ესპანეთში ითვლება 800 ათასზე მეტი უმუშევარი, რაც ქვეყნის მთელი თვითმოქმედი მოსახლეობის ექვს პროცენტს შეადგენს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებში.

დასავლეთი ბერლინი. ოფიციალური მონაცემებითა, იანვარში დასავლეთ ბერლინში რეგისტრირებული იყო 38 ათასზე მეტი უმუშევარი, რაც 13,7 პროცენტით მეტია გასული წლის დეკემბერთან შედარებთ.

ბრიუსელი. 265 ათასზე მეტი მთლიანად უმუშევარი იყო ბელგიაში 1977 წლის 31 იანვარს.

მოჰყავს რა ეს მონაცემები, სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ უმუშევართა რიცხვი ქვეყანაში აძლევად შეადგენს ქვეყნის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 9,9 პროცენტს. მარტო იანვარში ბელგიაში სამუშაო დაკარგა 7.000-ძდე კაცმა.

სამუშაოს დაკარგვის საფრთხე ემუქრება ცნობილ საავტომობილო კომპანიის „ვოლვოს“ დენტის გარეუბანში მდებარე ბელგიის ფილიალის 550 მუშასა და მოსამსახურეს.

ფილიალის ადმინისტრაცია მუშების დათხოვნის საჭიროებას იმით ხსნის, რომ შემცირდა შეკვეთები ავტომანქანებზე.

(საკდესი).

საფრანგეთი. მშრომელთა კოლონებმა (სურათზე) ჩაიარეს პარიზის ცენტრალურ ქუჩებში — ჩრდილოეთის ვაგზლიდან ოპერის მოედანამდე. უდიდესი პროფკავშირული გაერთიანებების მოწოდებით მუშათა კლასმა დაგმო პოლიციური და სასამართლო რეპრესიები გაფიცულ პოლიგრაფისტთა წინააღმდეგ და მოითხოვა შრომითი კონფლიქტის მოწესრიგება მბეჭდავთა და გაზეთ „პარიზიენ ლიბერეს“ ადმინისტრაციას შორის, რაც უკვე ოცდაორ თვეზე მეტი ხანია გრძელდება.

აპ-საკდესის ფოტო.

თეატრალური ქრონიკა

„ლელიანა“

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა მესხეთის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს აჩვენა ახალი ნამუშევარი, სპექტაკლი შ. სუდაძის პიესა „ლელიანას“ მიხედვით. ორმოქმედებიანი დრამა დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. დემეტრაშვილმა. სპექტაკლი გააფორმა მხატვარმა ა. გოგოლაძემ.

„ლელიანაში“ როლებს ასრულებენ ო. წიტაშვილი, ლ. თევზაძე, ო. რეხვიაშვილი, ლ. სულუაშვილი, თ. ალავიძე, ე. გოგიძე, ვ. ნიკოლაიშვილი და სხვ.

სურათზე: მსახიობები ლ. სულუაშვილი (გულხანუმი), ლ. თევზაძე (ლელა) და ო. რეხვიაშვილი (ბუსეინ ბეგი) სპექტაკლ „ლელიანაში“.

ბ. ბაბუნიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამინდი

გუშინ, 13 საათზე დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველგან მშრალი ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 7-10, მთებში 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში თოვდა, ზოგან წვიმდა, ან თოვლ-წყალი იდგა. დაბლობ რაიონებში 1 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, მთებში ნული — ორი გრადუსი ყინვა აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 3 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს აფხაზეთში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, იქროლებს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 7-12 გრადუსი სითბო, აჭარაში — უნალეკო ამინდი, იქროლებს სამხრეთ-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 5-10 გრადუსი სითბო. კოლხეთის დაბლობზე უმეტესად მშრალი ამინდი იქნება, იქროლებს აღმოსავლეთის ძლიერი ქარი, ტემპერატურა 6-11 გრადუსი სითბო.

სამხრეთ ოსეთში მოსალოდნელია მცირე თოვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 1-3 გრადუსი ყინვა, მორჯულიბაკურიანის ხეობაში — ზოგან მცირე თოვა, ტემპერატურა 1-4 გრადუსი ყინვა. ქართლსა და კახეთში ითოვებს, გზები მოიყინება, ტემპერატურა 1 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო. შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე მოსალოდნელია თოვლი, ნისლი, 3-5 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მცირე თოვლი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ნული — 2 გრადუსი სითბო.

ტელევიზია

9 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „უმზითვო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.05 — „კინომოგზაურობის კლუბი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.05 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — ფერადი დოკუმენტური ფილმები „საქართველოს ცხენოსნები“, „ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ“, 17.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „ვია მიდის ყამირზე“, 17.55 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 18.25 — მოსწავლეთათვის „ჯანმრთელობა და ხუთიანი“, 19.10 — „ვერნისაჟი“, 19.40 — სპორტული მიმოხილვა, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კონცერტი — ზუსტაფონის რაიონის თვითმოქმედი ანსამბლი — ფერადი გამოსახულებით, 20.50 — „მეცხრე სტუდია“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „დიადი ოქტომბერი“-60, „რევოლუციის გმირი ეკრანზე“.

მეორე პროგრამით

17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაიდარი პერმში“, 18.05 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „სათნო მატყუარა“ (I ნაწილი), 19.55 — განცხადებები, 20.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ასუ“-„ნავთობი“, 20.30 — „მუსიკალური ფოსტა“ — ფერადი გამოსახულებით.

რადიო

10 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — „ეკრანის მელოდიები“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ ნაწყვეტი ა. ყაზბეგის მოთხრობა „ელეონორადან“. კითხულობს ვ. ანჯაფარიძე, 17.15 — საესტრადო კონცერტი, 17.35 — მოსწავლეთათვის: საუბარი „ჩვეულებრივი და საიდუმლოებით მოცული“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორებს სიმღერების თემებზე, 20.30 — მღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა, 21.00 — „ძილის-პირული“, 21.10 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — გ.